# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 მაისი, 2009 წელი.

№ 94 (6195)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## გიგი უგულავა: თუ საჭირო გახდა, ერთ საკანს მეც მოვიტან...



როგორც გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, შესაძლოა, 26 მაისს სამხედრო აღლუმი არ გაიმართოს, რათა ოპოზიციას „პროვოკაციებით ფუფუნების“ საბაბი არ მიეცეს...

## რატომ არ არის „FINISHED“ საქართველოში არც ერთი ომნაგებული პრეზიდენტი!



3

## თქვენ ქვევრის გატეხა არ გინდათ, მე კი ქრისტე არა ვარ, სასწაული მოვახდინო!



2

### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

სალომე ზურაბიშვილი: („საქართველოს გზა“)

— სააკაშვილმა ჩვენს შეხვედრაზე ერთი კარგი წინადადება შემოგვთავაზა, რისთვისაც ღირდა იქ მისვლა: ყველანი გიორგი თარგამაძეები გახდითო.

(პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ მიტინგზე თქმული).

## საკუთარი საქმე თვითონ უნდა აკეთო

6





4

## არ მინდა გოდოს მოლოდინი...

## ნუ გვატყუებ, პრეზიდენტო!



5

## ◎ განცხადება

# შეურაცხყოფილი გენერლები თავგანწირვისთვის არიან მზად

**შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობის შესახებ, საქართველოს გენერალთა კლუბის არაერთი განცხადების მიუხედავად, „საქართველოს გენერალთა კლუბი“ ბოლო სამი თვის განმავლობაში თავდასხმებისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების ობიექტად იქცა. ამის შესახებ ნათქვამია „საქართველოს გენერალთა კლუბის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

„საქართველოს გენერალთა კლუბი“ მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელი ბრალდებების პერმანენტული გავრცელება ეწინააღმდეგება სინამდვილეს, არამედ ჩირქს ცხებს უამრავი ადამიანის ღირსებას.

წინა კვირაში განვითარებული მოვლენები, გენერალ ყარყარაშვილის წინააღმდეგ ულირსი კამპანია, მუხროვანის საეჭვო ამბოხი



და მასთან დაკავშირებით გენერალ კობალაძის დაპატიმრება, რაც მისი ღირსების შემლახველ გარემოებაში განხორციელდა, უფლებას გვაძლევს, განვაცხადოთ შემდეგი: პოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობა არ ნიშნავს, რომ მიმდინარე პროცესებზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი არ გაგვაჩნია; ასევე მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი გვაქვს იმ სამხედრო ავანტიურებზე, რომელთა მონაწილეც უნებლიედ საქართველოს შეიარაღებული ძალები აღმოჩნდა; ასევე, მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი გვაქვს იმ არაჯანსაღ პროცესებზე, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გრძელდება და, რასაც საბოლოოდ შეირაღებული ძალები მორალურ განადგურებამდე მიჰყავს და ბოლოს, ყველაფერ ამასთან დაკავშირებით გაგვაჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამოქალქო პოზიცია, რომელიც სხვათა შორის საქართველოსთვის თავის გაწირვასაც გულისხმობს – ნათქვამია განცხადებაში.

„საქართველოს გენერალთა კლუბი“ მოითხოვს, რომ შეწყდეს დათხოვნილი მაღალი რანგის სამხედროების მორალური დევნა და მათი ოჯახის წევრებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ უნდა დასაბუთდეს და ღიად გაცხადდეს გენერალ კობალაძის დაკავების ნამდვილი მიზეზები, წინააღმდეგ შემთხვევაში „კლუბის“ მიერ აღნიშნული პოლიტიკურ დევნად იქნება შეფასებული.

# მუხროვანის ინციდენტის დროს დაკავებულებს სასტიკად აწამებენ

**სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს მამუკა გვარამიას მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებულთა წამების ფაქტების გამოძიებას სთხოვს.**

როგორც სოზარ სუბარმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებული ხუთი პირი: აკაკი აფციაური, ნიკოლოზ ბიბილაშვილი, თემურ მელიქიძე, სანდრო ვეშაგური და ნუგზარ ოთანაძე სასტიკად არიან ნაცემები. მათ დაზიანებები სხეულზე და სახის არეში აღენიშნებათ, ასევე ეტყობათ ხელკეტების ნაკვალევი.

ხუთი პატიმრიდან ოთხს ორთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. ერთი, კობა ოთანაძის ძმა ნუგზარ ოთანაძე კი მოდულის შენობაში ეჭვმიტანილის სტატუსით იმყოფება.

ადვოკატ მამუკა ნოზაძის თქმით, ოთანაძეს აიძულებენ მისი ძმის ძებნილ კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა და სწორედ ამიტომ ცემეს.

სახალხო დამცველი 11 მაისს პრეზიდენტის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვით ბოლო პერიოდში კრიმინალურ ფაქტებზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს.

სუბარის თქმით, ასეთი მიდგომა ავტორიტარული ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ პოლიტიკური კრიზისის სათავე დამნაშავეთა დაუსჯელობა იყო.

# ძმას ძმის გამო სჯიან

**მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით ძებნილი კობა ოთანაძის ძმის ნუგზარ ოთანაძის ადვოკატი სამართალდამცავებს მისი დაცვის ქვეშ მყოფის წამებაში ადანაშაულებს.**

როგორც ადვოკატმა ონისე მეზონიამ განაცხადა, ნუგზარ ოთანაძე, რომელიც ე.წ. მოდულის შენობაში მოინახულა, სასტიკად ნაწამებია, დაზიანებული აქვს ქვედა და ზედა კიდურები, სახის და ზურგის არე.




ადვოკატი ნუგზარ ოთანაძე სოდ-მა დააკავა და მოდულის შენობაში ოთხმა პირმა სასტიკად სცემა. ეს პირები სამოქალაქო ფორმაში იყვნენ ჩაცმულები და ყველა მათგანის ამოცნობა ოთანაძეს შეუძლია. დაკავებულს ძმის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას სთხოვდნენ, თუმცა ოთანაძემ ამის შეახებ არაფერი იცოდა, რის გამოც სასტიკად გაუსწორდნენ, – განაცხადა მეზონიამ და აღნიშნა, რომ გამომძიებელმა საქმის მასალები არ გააცნო, რის გამოც არ ფლობს ინფორმაციას, რაშია ეჭვმიტანილი ნუგზარ ოთანაძე. ადვოკატის თქმით, არც დაკავებულისთვის განუმარტავთ, თუ რატომ აკავებდნენ.

ნუგზარ ოთანაძე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდის) თანამშრომლებმა 12 მაისს, ღამის პირველ საათზე დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

## ◎ საით?

**თქვენ ყველაფრის ღირსები ხართ – ვიტყუები არც ახლა, საქართველო ისე „გიყვართ“ – რომ უსისხლოდ არ წახვალთ...**

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

**ჩვენ, ანუ ხალხი, აგერ თვეზე მეტია რუსთაველზე როგორც სამსახურში, ისე დავდივართ მიტინგებზე. 11 მაისს შემდგარი დიალოგის შემდეგ გამართულ პირველ მიტინგზე აშკარად იგრძნობოდა, რომ ყველაფერი ვერ იყო ისე კარგად, როგორც ამის წარმოჩენას ოპოზიციის ლიდერები ცდილობდნენ.**

ამ მიტინგს წინ უძღოდა ნინო ბურჯანაძის ოფისში შემდგარი გაერთიანებული ოპოზიციის თათბირი, უფრო სწორად, „საიდუმლო სერობა“, რამაც ოთხ საათს გასტანა. თათბირის შემდეგ უკომენტაროდ დატოვა საკუთარი ოფისი ნინო ბურჯანაძემ (?ძ... ვინც კომენტარი გააკეთა (კახა შარტავამ თუ სალომე ზურაბიშვილმა), იმდენად ზედაპირული, ზოგადი და არადამაჯერებელი იყო, რომ...

იმის დასტურად, რომ იმ თათბირზე ოპოზიციის შიგნით რაღაც განხეთქილება მოხდა, ისიც საკმარისი იქნებოდა, რომ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე მიტინგებზე, 12 მაისს პირველად არსად ჩანდა ნინო ბურჯანაძე. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ არავინ იყო ეროვნული ფორუმიდან, არსად ჩანდა გოგა ხაინდრავაც.

როგორც ზემოთ ვთქვი, იმის მიუხედავად, რომ გამომსვლელები ყოველნაირად ცდილობდნენ სასურველის რეალობად წარმოჩენას, მიტინგის რიგით მონაწილეებს აშკარად ეტყობოდათ უკმაყოფილება ზოგადად მიმდინარე პროცესის გამო, რისი დასტურიც იყო მათგან შემოსული წერილობითი, ეჭვებით სავსე შეკითხვები.

დავიწყოთ იქიდან, რომ ოპოზიციის ლიდერებმა დაარღვიეს ხალხისთვის ათასგზით მიცემული პირობა, რომ ხელისუფლებასთან სალაპარაკოდ მხოლოდ პირდაპირი ეთერში დასხდებოდნენ. თუ მაინცდამაინც, საზოგადოებაში მაღალი ნდობით ცნობილი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად იქნებოდნენ.

გამომსვლელებმა ე. წ. ალიანსიდან, მრავალჯერ გაიმეორეს, რომ ირაკლი ალასანიას ნათქვამი, არასწორად გაგვიგია, რადგანაც თურმე ის თავის სათქმელს განსხვავებული ლექსიკით ამბობს. და ხელისუფლება განზრახ აპირებს ირაკლი ალასანიას დიალოგისთვის მზადყოფნას. რა, ბნელა ბატონებო! ირაკლი ალასანია რომ იმთავითვე ცდილობდა რადიკალიზმთან გამიჯვნას, ახალი ამბავია? ე. წ. რეფერენდუმის თემა არ არის ამის დასტური? 9 აპრილის ამბებში მისი ჩართვა, ფაქტობრივად, იძულების წესით, მცირე „შანტაჟით“ რომ მოხდა, ისევე როგორც ლეიბორისტების თუ ეროვნული ფორუმის, თუმცა ამ უკანასკნელთ ალასანიასაგან და ერთმანეთისგან განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ, საიდუმლოა?

რას ჰგავს ის, რომ ათასჯერ იმეორებენ ერთი ანდაზის პერიფრაზს – ალასანია ჩვენსავით ფიქრობსო? იმ ანდაზას ხომ არა – ქურდს ქუდი ეწვოდაო, ან კიდევ, ოპოზიციას რაც ელანდება, ის ესიზმრებაო? არ ვიცი, მკითხველმა განსაჯოს.

მიტინგზე, ეს მერამდენედ, მორიგი სამანი – 26 მაისი დასახელდა. არაერთმა გამომსვლელმა, ლამის დაიგინა – სააკაშვილის გარეშე მოვა ეს 26 მაისი და

**თქვენ ქვევრის გატეხა არ გინდათ, მე კი ქრისტე არა ვარ, სასწაული მოვახდინო!**

მომავალი სხვებიცო! ამის მიღწევას სტადიონზე შეკრებით და იქიდან რუსთაველზე მარშირებით აპირებენ – მთელს მსოფლიოს დავანახოთ, რომ ბევრზე ბევრნი ვართო!

რომელ მსოფლიოს, რომელსაც გუშინაც ფეხებზე ეკიდა საქართველო და დღესაც? იმ ევროპას ხომ არა, ვის წინაშეც მთელი თვეა



ვყელყელაობთ? ერთი მინა არ ჩატეხილაო? იქნებ, მაგათ მანქანების ლეწვის ენა უფრო ესმით? არა, იმას არავის მოვუწოდებ, რომ ავილოთ ბეისბოლის კეტები და დავერიოთ რუსთაველზე მაღაზია-რესტორნებს, მაგრამ არც ასე ვარგა – ადგილზე ნაბიჯით იარ!

### სად არის გამოსავალი?

**ურთულესი მდგომარეობიდან გამოსვლის რეცეპტი ნამდვილად არ მაქვს. იქნება ღირდეს გოგა ხაინდრავას წინადადების გაზიარება – შეიკრიბოს მთელი ოპოზიცია და მიიღოს მიმართვა დემოკრატიული მსოფლიოსადმი, რომ მიშა ევროპულ ენაზე არაადეკვატური კი არა, ჩვენებურად, ქართულად, გიჟი, შიშველი გადარეულია და სასწრაფო სამედიცინო ჩარევაა საჭირო. ან ჩაერიონ და უმკურნალონ, ან როგორც დასვეს 2003-ში და როგორც „გაუპრავეს“ მას მერე მრავალგზის გაყალბებული არჩევნები, კეთილი ინებონ და წაიყვანონ სადმე დასავლეთში...**

ეს კაცი საკუთარი ნებით არსად არ აპირებს წასვლას. ეს საქმე უსისხლოდ არ გამოვა! ეს სიმართლე უნდა უთხრან იმ ხალხს, ვინც ამდენი ხანია ფეხმოუცვლელად დგას რუსთაველზე. თუმცა, ამას რა თქმა და ჩიჩინი უნდა? ამაზე ყველა იქ მდგომი ფიქრობს ქვეშეცნეულად და ყველაფრისთვის მზად არის ოპოზიციის ლიდერთაგან განსხვავებით!

ერთხელ ლევან გაჩეჩილაძეს „კავკასიის“ ეთერში ვიღაცამ ჰკითხა – დღეს რომ იმით ამართლებ 2008 წლის 20 იანვარს 200 ათასი კაცის სახლებში გაბრუნებას – სისხლი დაიღვრებოდაო, აგვისტოში რაც დაიღვარა (მარტოოდენ დაკარგულ ტერიტორიებს არ ვგულისხმობთ. – ავტ.) იმაზე მეტი ხომ არ დაიღვრებოდა? რაზედაც უფროსმა „გრეჩიხამ“ უპასუხა – ეგ რომ წინასწარ მცოდნოდა, არ დავშლიდი იმ ხალხსო!

ჰოდა, ახლა მაინც გავაანალიზოთ, რა შეიძლება ამ პრეზიდენტის ხელში მოუვიდეს საქართველოს? თუ იმაზე უარესი არა, რაც გვჭირს, მაშინ იქნებ 2013 წლამდე ღირდეს დაცდა... თუ კიდევ მოგველის უაზრო სისხლის ნთხევა, მაშინ გამოსაშვები სისხლი ხომ არ სჯობს ახლა გამოვუშვათ? მესმის, რომ ამის თქმაც და მოსმენაც ძალზე ძნელია, მაგრამ სისხლის გაღებაში უპირველეს, საკუთარ სისხლს ვგულისხმობ და, რა როგორ იქნება, ეს უფალმა იცის.

არ ვიცი, იქნებ ბევრი მიუღებელი რამ ვთქვი, მაგრამ ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება, ამაში დარწმუნებული ვარ. ე. წ. დიალოგმა ერთი რამ დანამდვილებით აჩვენა – შეგონებების, მოწოდებების, „სადღეგრძელოების“ დრო, რასაც ამ ერთი თვის განმავლობაში ვაკეთებდით, წავიდა. ახლა კონკრეტული მოქმედებების დროა, თორემ თუ ხალხს კიდევ ერთხელ გული გაუტყდა, რისი ნიშნებიც აშკარად ჩანს, მრავალი წელიწადი ველარავინ გამოიყვანს ქუჩაში...

**დავით მხეიძე**

## ◎ ვიზიტი

# რათა ამერიკის როლი უკეთ აღვიქვათ

**თბილისში აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა საბჭოს დელეგაცია ჩამოვიდა.**

როგორც საქართველოში აშშ-ს საელჩოდან იტყობინებიან, საბჭოს დელეგაციაში 20-ზე მეტი წევრი შედის, მათ შორის საგარეო ურთიერთობათა საბჭოს ხელმძღვანელები და ექსპერტები.

დელეგაციის წევრები შეხვედრებს გამართავენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, ასევე ოპოზიციის ლიდერებთან.

შეხვედრების მიზანი საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გაცნობაა.

აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა საბჭო დამოუკიდებელ ექსპერტთა არასამთავრობო ორგანიზაციაა. ის 1921 წელს დაარსდა. საბჭო ხელს უწყობს საგარეო პოლიტიკის საკითხებისა და მსოფლიოში ამერიკის როლის უკეთ აღქმას.

**ინტერპრესნიუსი**

ხედვა

**1993 წლის სექტემბერში, როდესაც სოხუმი დაეცა და ქართველებმა აფხაზეთი დატოვეს, აშშ-ში ვიმყოფებოდი. კერძოდ ჰარვარდის უნივერსიტეტის „კენედის სკოლაში, სადაც როგორც „სტუმარი მეცნიერ-თანამშრომელი“ (ასე გამოითქმის ალბათ ყველაზე სწორად ქართულად „Visiting Fellow“) ვმუშაობდი და ვკითხულობდი ლექციებს თემაზე, რომელსაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს — „რუსეთის პოლიტიკა და კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში“.**

ეს თემა მე თავად ავირჩიე და ალბათ სწორედ მისმა აქტუალობამ განაპირობა ის, რომ ჩემი კოლეგების მიერ წარდგენილ მრავალ თემას შორის (მათგან ნაწილი საგარეო საქმეთა სამინისტროში, ნაწილი კი პრეზიდენტის აპარატში მუშაობდა) სწორედ ამ თემას და ჩემს მიერ მისი აქტუალობის დამამტკიცებელ არგუმენტებს მიანიჭეს ამერიკელებმა უპირატესობა.

მიუხედავად ამისა, უნდა გითხრათ, რომ იმ დროს საქართველოში მიმდინარე პროცესები აშშ-ში ნამდვილად არ იყო ყურადღების ცენტრში. აშშ-ს როგორც მმართველ, ისე პოლიტოლოგიურ წრეებს (და ეს განსაკუთრებით „დემოკრატიული“ ფასეულობებით ცნობილ ჰარვარდის უნივერსიტეტს ეხებოდა) იმ დროს უფრო რუსეთში „ელცინის ახალი დემოკრატიის“ გადარჩენაზე ზრუნვა და უკრაინა-ყაზახეთში დარჩენილი ბირთვული არსენალების გატანა უფრო აწუხებდათ, ვიდრე აფხაზეთში მიმდინარე ომი.

განვლილმა წლებმა, რომელთაგან ყველა საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში გავატარე, ამერიკელების ამგვარ მიდგომებს მიმაჩვია, მაგრამ ჩემი უდიდესი განცვიფრება და სინანულიც კი გამოიწვია იმან, რაც ამ მოვლენებიდან მრავალი წლის შემდეგ, აშშ-ის იმდროინდელი ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის სტროუბ ტელბოტის წიგნში — „The Russia Hand“ — წავიკითხე. კერძოდ, ბატონი ტელბოტი წერს, რომ აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს, საქართველოდან ჩამოსულმა, პრეზიდენტ შევარდნაძის გამოგზავნილმა დიპლომატებმაც ზუსტად ის განუცხადეს, რისი გაგონებაც კლინტონის ადმინისტრაციას სურდა — „საქართველოსთვის ერთადერთი იმედი რუსეთში ელცინის გამარჯვებააო“. თან დასძინეს, ეს მხოლოდ ჩვენი კი არა, თავად ბატონი შევარდნაძის აზრია, რადგან „როგორც ჩვენი დიდი მეზობელი ივლის, ისე ივლის მისი სამეზობლოცო“(?!ძ.

ამგვარი მიდგომების „გადალახვა“ მე თავად არაერთხელ მომიხდა და არა მხოლოდ ჰარვარდის უნივერსიტეტში გამართული პრეზენტაციების დროს. როდესაც ამერიკელებს იმ დროს, რუსეთის „სისხლში გამჯდარ“ იმპერიულ აზროვნებასა და შესაბამის ქცევაზე ვესაუბრებოდი, რეაქცია თითქმის ყველასგან ერთი და იგივე იყო — „თქვენ ქართველები ცნობილი ანტირუსები ხართ და რუსეთს, რომელიც დემოკრატიის მშენებლობის გზაზე დგას, და მის პოლიტიკასაც, შეგნებულად ამახინჯებთ“. აშშ-ში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ვცდილობდი რომელიმე გაზეთში მაინც გამომექვეყნებინა სტატია იმის თაობაზე, თუ რას გვიშვება რუსეთი აფხაზეთში, მაგრამ სანამ, საქართველოში ამჟამად უკვე ყველასათვის ცნობილი, ბატონი გივი ზალდასტანიშვილი არ დამეხმარა, არაფერი გამოვიდა. სწორედ მისი დახმარებით შევძელი „ქრისჩენ საიენს მონიტორში“ პატარა სტატიის გამოქვეყნება სათაურით „ვის ადარდებს საქართველო“.

რა თქმა უნდა, ჩემმა სტატიამ და ლექციებმა ვერაფერს უშველა და კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც აფხაზეთის დატოვების შემდეგ უნივერსიტეტში მივედი. პირველი, ვინც შემხვდა, ცნობილი ამერიკელი „სოვეტოლოგი“ (ჩემი აზრით, ყველაზე მცოდნე და ობიექტური უცხოელ „სოვეტოლოგებს“ შორისძ პროფესორი რიჩარდ პაიპსი იყო, რომელმაც განმიცხადა: „Shevardnadze is finished“ ანუ „შევარდნაძე დამთავრებულიაო“.

# რატომ არ არის „FINISHED“ საქართველოში არც ერთი ომწაგებული პრეზიდენტი!

როდესაც ამერიკიდან დავბრუნდი და საქართველოს მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს ამ სიტყვების შესახებ ვუამბე, მან მითხრა: „კოტე, ძალიან გთხოვ ამის შესახებ არსად არ თქვაო.“

ეჰ, რა იცოდა ნორმალურად, ადამიანურად და ლოგიკურად მოაზროვნე ამერიკელმა პროფესორმა, რომელსაც ალბათ ისტორიიდანაც ბევრი დამამტკიცებელი ფაქტი ჰქონდა იმის თაობაზე, რომ ომწაგებული მთავარსარდალი თუ არ დაისჯება საკუთარი ხალხის მიერ, სირცხვილით სახლში მაინც უნდა დაჯდეს, რომ ამ მხრივაც საქართველო „განსაკუთრებული ქვეყანაა“. რა იცოდა მან, რომ გამოქცეულ მთავარსარდალს, რომელსაც არაერთხელ განუცხადებია „სოხუმი თუ დაეცა, მე აქ დავრჩებიო“, მისი მედროვე მეგობრების მცდელობით, ქართველი ხალხი მუხლებზე დაუჩოქებდა და შეევედრებოდა — ოღონდ შენ არ წახვიდე და არ დაგვღუპოო. თუმცა იგივე ხალხი შემდეგ თურმე „მიხვდა“, რომ სწორედ მან დაგვღუპა და სახლში მიაბრძანა.

2008 წლის აგვისტოში, როდესაც ჩვენი წინა მთავარსარდლის „სახლში მიმბრძანებელი“ ახალი მთავარსარდალი ახლა უკვე ცხინვალიდან გამოიქცა და რუსული ტანკები თბილისს მოადგნენ, უკვე ბუდაპეშტში ვიმყოფებოდი, როგორც საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი. უკრაინის საელჩოს მიერ გამართულ მიღებაზე სპეციალურად ჩოხით და შესაბამისად ქამარ-ხანჯლით მივედი, რათა ჩემი გაგებით ომის მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სიმტკიცე მეჩვენებინა. პირველი, რაც ჩემმა უცხოელმა კოლეგამ იქ მისვლისას განმიცხადა, იყო: „Saakashvili is finished“.

ასე განმეორდა იგივე სიტყვები 15 წლის შემდეგ და არა იმიტომ, რომ ვინმეს რამე ჰქონდა ან ერთი ან მეორე ომწაგებული „მთავარსარდლის“ საწინააღმდეგო. ვიმეორებ ჩემი, და დარწმუნებული ვარ ყველა ნორმალური ადამიანის აზრით, ეს სავსებით გასაგები და ლოგიკური რეაქციაა. მაგრამ საქართველოს „განსაკუთრებულობაში“ კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, როდესაც სხვადასხვა სამთავრობო ტელეარხზე „მორბენალ“ „მიშა მაგარიას“ და “მიშა გამაგრდის“ ვხედავ.

ნუთუ ვერ გავხდებით უბრალო ადამიანური გაგების, ლოგიკის და თუნდაც თავმოყვარეობის მქონე ხალხის ქვეყანა, სადაც წაგებული



ომის მთავარსარდალი ნამდვილად „finished“ უნდა იყოს?

სამწუხარო ის არის, რომ პასუხი მე თვითონ ვიცი — ალბათ კიდევ დიდხანს ვერას გავხდებით, რადგან ქართველი ხალხის აზროვნება და მენტალიტეტი ორასწლიანმა მონობამ ისე დაამახინჯა და შეცვალა, რომ მისი თანდათანობით ცვლილების გარეშე ვერ დავიბრუნებთ იმ თვისებებს, რითიც ჩვენი ხალხი და ქვეყანა ხშირად გამორჩეული იყო.

საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, სწორედ ამ მონობის გამოვლინებებს ვაწყდებით დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს ისტორიის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაშიც. ერთი პიროვნების, ერთი „ბელადისადმი“ მონობის გამოვლინებებს, რის უკანაც ძალიან იშვიათად დგას ე.წ. იდეური მომენტები და ძალიან ხშირად ამ ბელადის მიერ ქვეყნის მოსახლეობის მეტად მცირე ნაწილისათვის შექმნილი, უმრავლესობის ცხოვრებისაგან განსხვავებული, პარლამენტის წევრობით ან მაღალი ხელფასითა და პრივილეგიებით უზრუნველყოფილი ცხოვრება.

მაგრამ საქართველოში მცხოვრებთა ის მენტალიტეტი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენს ქვეყანაში კიდევ დიდხანს არ მოგვცემს დასავლეთში მიღებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული არჩევნების ჩატარების საშუალებას, მხოლოდ ამ ორასი წლის განმავლობაში არ ჩამოყალიბებულა.

რამდენიც არ უნდა იმეოროს ჩვენი პოლიტიკოსების და ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა, რომ ჩვენ მუდამ ევროპული ღირებულებების მატარებელნი ვიყავით, ეს ასე არ არის.

და ეს ასე არ არის, უპირველეს ყოვლისა, ერთი ძალიან უბრალო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მიზეზის გამო — საქართველო მუდამ ევროპისა და აზიის საზღვარზე, დიახ, ზუსტად საზღვარზე(!ძ, მდებარეობდა და მდებარეობს. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში ითვისებდა როგორც ევროპის, ისე, ჩემი აზრით, უფრო მეტად აზიისათვის, ანუ აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ეს აისახა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროზე — ტრადიციებზე, კულტურაზე, აზროვნებაზე და საერთოდ ცხოვრების წესზე. ამიტომ იმის მტკიცება, რომ ჩვენ მუდამ ევროპული ფასეულობების მატარებელნი ვიყავით, რბილად რომ ვთქვათ, სასურველის სინამდვილედ წარმოჩენას წარმოადგენს.

ქრისტიანული რელიგიის უდიდეს მნიშვნელობაზე საქართველოსათვის არავინ დავობს, მაგრამ „ევროპელობისათვის“ მხოლოდ ეს საკმარისი არასოდეს ყოფილა და არც ამჟამად არის. რამდენიც არ უნდა ვიმეოროთ, რომ ჩვენ ევროპელები ვართ, მე მაინც მგონია, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ჩვენ მუდამ ევრაზიელები უფრო ვიყავით და ვართ.

სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ახალ საქართველოში არც ერთი ომწაგებული პრეზიდენტი-მთავარსარდალი „finished“ არ არის. და თუ ისევ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრობლემას დავუბრუნდებით, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არასოდეს მიცემს ხმას რომელიმე პარტიას ან მის პროგრამას. ის ხმას მისცემს ან იმას, ვინც „სათავეშია“ და ძალაუფლებას ფლობს (სუფთა აზიური, ანუ აღმოსავლური ფენომენი, რომელიც პირველ რიგში ეთნიკური არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში მუშაობსძ ან ერთ ქარიზმულ ლიდერს და მის გარშემო შემოკრებილ ჯგუფს. რატომ გვეშინია ამის აღიარება და რა არის ამაში ცუდი?

„რეალპოლიტიკა“ მუშაობს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. არ სჯობს სწორედ რეალობიდან გამომდინარე მივსდიოთ ერთსაც და მეორესაც? მაგალითად, ქვეყნის შიდა მოწყობის, მათ შორის, არჩევნების ჩატარებისასაც პირველ რიგში არსებული რეალობები გავითვალისწინოთ. ასევე არსებული რეალობები გავითვალისწინოთ საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრისა და გატარების დროს.

მაგალითად, ჩემი აზრით, პირველ რიგში არა ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, ყოფილი ევრაზიული იმპერია და არსებული ევრაზიული „მონსტრი“ რუსეთი უნდა ავიღოთ, არამედ სამხრეთ-დასავლელი მეზობელი, ასევე ყოფილი ევრაზიული იმპერია, მაგრამ ჩვენსავით ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარე, ამჟამად ევროპისა და დასავლური ფასეულობებისაკენ მიმავალი თურქეთი.

თუკი ასევე ევრაზიული მენტალიტეტის მქონე მაჰმადიანურმა თურქეთმა შესძლო დასავლური ტიპის საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბება და რეგულარულად იმგვარი არჩევნების ჩატარება, რომლის ობიექტურობაშიც ეჭვი არავის უჩნდება, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია იგივე?

ან თუკი მისი ევრაზიულობა და რელიგია არაფერში უშლის იმავე თურქეთს ნატოს წევრი იყოს და დაჟინებით მოითხოვდეს ევროკავშირის წევრობას, ჩვენ რატომ უნდა ვიმეოროთ წარამარა, რომ ევროპელები ვართ და სწორედ ამიტომ უნდა ვიყოთ ამ ორგანიზაციების წევრები?

ჩემი აზრით, ორი კონტინენტის, ორი კულტურის, ორი რელიგიის საზღვარზე ყოფნამ გაცილებით მეტი დადებითი შესძინა ჩვენს აზროვნებასა და მენტალიტეტს, ვიდრე უარყოფითი, რასაც უეჭველად გამოყენება სჭირდება.

სწორედ ამის კარგად გამოყენებით შეიძლება დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების არენიდან მათი თანამშრომლობის არენად გადავიქცეთ. იმავე „რეალპოლიტიკის“ პრინციპების გათვალისწინებით ეს ადვილი არ არის, მაგრამ ამის მიღწევა მიზანმიმართული პოლიტიკით ნამდვილად შესაძლებელია.

**კონსტანტინე ჟღენტი,**
**რუსეთის კვლევების**
**საქართველოს ინსტიტუტი**

caucasia-experts

ინფორმაცია

## ეუთოს მისია ცხინვალის რეგიონში მუშაობას ვერ გააგრძელებს

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი საკუთარ ტერიტორიაზე ეუთოს მხოლოდ დამოუკიდებელი მისიის დაშვებას აპირებს. როგორც ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი იუწყება, ამის შესახებ მარიონეტული რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევამ განაცხადა.**

**მისი თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეუთოს მისია იმ სახით, რომლითაც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე მუშაობდა, ფუნქციონირებას ველარ გააგრძელებს.**

**— ჩვენი წინადადებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეუთოს შეუძლია, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სპეციალური მისია გახსნას, რომელიც პირდაპირ ვენას დაექვემდებარება. ჩვენთვის მიუღებელია, რომ ეს მისია სამხრეთ ოსეთში მუშაობდეს და საქართველოში ეუთოს მისიის ნაწილი იყოს. ბერძნული მხარის წინადადებით, მისიაში 30-მა წარმომადგენელმა უნდა იმუშაოს — 22-მა საქართველოში და რვამ სამხრეთ ოსეთში და მათ საერთო ხელმძღვანელობა ეყოლებათ. ჩვენ ამაში ქართულ „ქოლგას“ ვხედავთ. ბერძენ თავმჯდომარეს წერილობით ვუპასუხეთ, რომ სამხრეთ ოსეთს ასეთი ვარიანტი არ აწყობს, — განაცხადა ჯიოევამ.**

**მან ასევე კომენტარი გააკეთა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირის წარმომადგენლებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლა დაუბრკოლებლად შეუძლიათ.**

**—სამხრეთ ოსეთი არასოდეს არავისთვის დაკეტილა. ერთადერთი მოთხოვნაა - სამხრეთ ოსეთისკენ გზა რუსეთზე გადის,—განაცხადა ჯიოევამ.**

ინტერპრესნიუსი

## თვალსაზრისი

***ჯერ იყო სიტყვა და შემდეგ ყველაფერი ის, რამაც აღიარა ადამიანის უნიკალურობა და განავითარა მისი სამყარო. ეს როდის იყოო, იტყვის კაცი. უკიდეგანო ცოდნითა და სიბრძნით ასხმული ფიქრითაც კი ვერ მისწვდები იმ უშორეს წარსულს, საწყისს კაცობრიობისას, როცა გონიერების სამყარომ პატივი სცა და გზა დაუთმო სიტყვის პირველყოფილობას. ჟამს ჟამი მისდევდა და ნელ-ნელა ყველამ ირწმუნა სიტყვის ძალმოსილება და მასში დავანებული უსაზღვრო ენერგია. თუმცა, დღესაც არიან ადამიანები, რომელთათვისაც ასეთი თეორია არაფრისმთქმელია. არც სიტყვის ძალა მოქმედებს მათზე და არც მისი ესა თუ ის შინაარსი. უცნაურია ყველაფერი ეს, — რაც ერთისთვის ასეა, მეორისთვის სულ სხვაგვარად არის, არ მაქვს მხედველობაში მსოფლმხედველობა და პიროვნული მრწამსი. არა, ამჯერად ელემენტარული სიტყვისა და მოვლენების აღქმაზე მაქვს საუბარი.***

# არ მინდა გოდოს მოლოდინი...

საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენები არავისთვის უცხო და საკვირველი არ უნდა იყოს, არა მარტო იმიტომ, რომ ხალხი ვერ შეეგუა მმართველობის უსამართლო, მცდარი პოლიტიკით დასუსტებულ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს, არამედ იმიტომაც, რომ ქართველმა ხალხმა იმ ხალხებთან ერთად, რომლებიც საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ, უკვე ორჯერ გადააყენა ადამიანის უფლებების უგულებელმყოფელი, ქვეყნისთვის არასასურველი თუ არჩევნების გამყალბებელი პრეზიდენტი (პრეზიდენტები.ძ. ამის შემდეგ ყველასათვის გასაგები უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხის სწრაფვა სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი უდავოდ გაიზრდებოდა პრეცედენტის გამეორების შანსიც. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. დღეს, ისტორია მერამდენედ მეორდება, ქართველი ხალხი კვლავ ქუჩაშია, ხოლო ხალხის ის ნაწილი, რომელიც მთავრობის გუნდრუკმკმეველთა რიგებში ყოველთვის აღმოჩნდება, თავდაყირა დაყენებული ლოგიკით ჭკუას გვასწავლის: — არ დავუშვათ პრეზიდენტის გადაყენების პრეცედენტი, თორემ ასეთი აქტი ჩვეულებად გადაგვექცევაო. დიახ, სწორებითაც რომ ასეთი მოვლენების განვითარებას ადგილი ექნება მანამ, სანამ არ მოვა ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული ხელისუფლება, ხალხის და ქვეყნის ერთგული და სამართლიანი მსახური. მაშინ არ მოხდება ეს საშიში „პრეცედენტი...“ სამართლიანობა და მხოლოდ სამართლიანობა! — აი, რა შეიძლება იყოს ჩვენი საზოგადოების სიმშვიდისა და ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების გარანტი..

სამართლიანობა დიდი, ფასდაუდებელი გრძნობაა და არა მარტო გრძნობა. ის ნიჭია. მადლობა ღმერთს, რომ ამ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები მრავლად ჰყოლია ქართველ ერს. ავის და კარგის გარჩევას მართლაც რომ დიდი ნიჭი უნდა, მაგრამ, ყოველივე ამის გამოხატვაა საჭირო და ამის დროც დამდგარა.

ერთი თვეა, რაც ათასობით ადამიანი გამოვიდა საქართველოს პარლამენტის წინ, დედაქალაქის ყველაზე ლამაზ და თბილისელთათვის საყვარელ ქუჩაზე. მოდიან და მიდიან ღირსებაშელახული და წლების მანძილზე უსამართლობით შეწუხებულები, გამოხატავენ თავიანთ სათქმელს. მაგრამ ბევრია ისეთიც, რომელიც არ იზიარებს აღშფოთებული ხალხის აზრს. არა უბრალოდ არ იზიარებენ, არამედ გაკვირვებულებიც არიან, რა უნდათო. ვერაფერს ხვდებიან და ვითომ ვერაფერს გრძნობენ, ვერც ხედავენ! ზოგს ათასობით ადამიანი თითო-ოროლად ეჩვენება. ვიღაცა ვიღაცას ვიღაცის პირად მტრად მიიჩნევს. ზოგიც, საერთოდ, აზრზეც არ არის და გაკვირვებული კითხულობს: რატომ იტკივებენ თავსო. ზოგიც იმას ამბობს, ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთო. ერთი სიტყვით, სიმართლეს თვალს ვერ უსწორებენ, ხან რას ამბობენ, ხან — რას. სიმართლე კი ერთია: მიტინგები არ ცხრება, მატულობს პათოსი, მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო ადამიანები დემონსტრანტებს სხვადასხვა რეგიონებიდანაც გამოეხმაურნენ. გადაიკეტა ქუჩები, მიტინგები ტარდება საზოგადოებრივი მაუწყებლობის ტელევიზიასთანაც...



მიუხედავად ასეთი სურათებისა, მაინც მესმის და გაზეთებშიც ვკითხულობ ზოგიერთი „მოაზროვნის“ მრუდე სარკეში დანახულ სინამდვილეს და ვხვდები, რომ აზროვნების ახალ სტილთან გვაქვს საქმე, რაც ისედაც აღშფოთებული ხალხის ვნებებზე ცეცხლის წაკიდებას უფრო ემსახურება, ვიდრე ხალხის დაშოშმინებას, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვას და შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებას. ზემდგომთაგან ხალხთან გაუცხოება, ტყუილ-მართლის ერთმანეთში არევა, თავსმოხვეულ ომში დამარცხების გამარჯვებად აღქმა, უძველესი ქართული ტერიტორიების დაკარგვა, თანამემამულეთა დევნილებად ქცევა, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი და სხვა მრავალი უბედურება, რომელიც სახეზე გვაქვს, აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი არ უნდა გამხდარიყო... მაგრამ ფაქტი სახეზე გვაქვს. ყოველივე ამის შემდეგ, არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ პოლიტიკოსთა მოსაზრება, დღეს საქართველოს უნიჭოთა ლეგიონი მართავსო, რომ ამბობენ. რატომ და როგორ მოხდა ეს XXI საუკუნის დასაწყისში, სწორედ მაშინ, როცა საქართველოს საზოგადოებას იმედი ჰქონდა წარმატებებისა და ქვეყნის სათავეში უკეთესი ხელისუფლების მოსვლისა? თითქოს ამ დროისთვის ქვეყანა მთლად მზად არა, მაგრამ თავისი ინტელექტუალური წიაღით, შემზადებული კი უნდა ყოფილიყო მსოფლიოს მოწინავეთა რიგებში ჩასადგომად. სამწუხაროდ, იმედებმა გვიმტყუნეს და ქვეყნის სათავეში მოვიდნენ არაპროფესიონალები, ქართული ტრადიციებისა და ეროვნული იდეებისაგან საგრძნობლად შორს მდგომი ადამიანები., რამაც ხაზგასმულად უარყოფითად იმოქმედა როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაზე. საქმე ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის არა მარტო ეკონომიკურად, არამედ სულიერად შემოსვა სხვა ქვეყნების, მაგალითად, ამერიკის თარგზე, მოინდომეს ამ ახალგაზრდა ბატონებმა... ვინ არ იცის ამერიკის დემოკრატიულობისა და ეკონომიკური სიძლიერის ფასი, მაგრამ ის ღირებულებები, რაც თვალწარმტაცს ჰქმნის ამერიკულ პოლიტიკასა თუ კულტურას, ამერიკის მიწაზე წარმოიშვა ამერიკელი ხალხის მიზანსწრაფულობით, შრომით და საკუთარი გემოვნებით. ამიტომაც მიაღწიეს წარმატებას. ჩვენი უბედურება ის არის, რომ სხვისი გამოცდილების გაზიარებით კი არა, პირდაპირ სხვისი კულტურით დავიწყეთ ქვეყნის მოდერნიზაცია. რა თქმა უნდა, ეს კულტურა ზედაპირული იყო, აბა სხვის კულტურას როგორ გაითავისებს უძველესი საუკუნეებიდან მომავალი ხალხი! და მაინც, ეს ყველაფერი მოხდა საკუთარის გადაგვარების ხარჯზე. აი, სწორედ ეს არის უნიჭობა. ნიჭიერება საკუთარ ფესვებზე აღმოცენებული კულტურის გათანამედროვება და განვითარებაა.

ამერიკაში თუ ევროპაში გაზრდილმა ჩვენმა ახალგაზრდობამ თავისი ქართული ყლორტების გაშლა ჩვენს მიწაზე ხელოვნურად შეკოწიწებულ, სხვათა კულტურის სათბურში მოინდომა, რაც ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა. ვერ გაუგო ჩვენმა ხალხმა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არა მარტო სამთავრობო სკამებზე წამოსკუპდნენ, არამედ ნგრევის შემდეგ გადარჩენილ თუ ახლადშეფიცრულ, თითქმის ყველა მოქმედ საგანმანათლებლო, კულტურულ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მოედვნენ და თბილ, ევროპული დიზაინით აწყობილ კაბინეტებში შეიყუჟნენ, კომპიუტერულ ეკრანაფარებულები, თანდათანობით ადამიანური ურთიერთობებისადმი საოცრად გულგრილნი გახდნენ. ციფრულ ცოდნაზე დაყრდნობით, სხვა ყოველგვარი ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკა უარყვეს. ამიტომაც გამოცხადდა ასაკობრივი ტერორი, ყველა წლოვანი თუ მხცოვანი ადამიანი ზედმეტად მიიჩნიეს, გზიდან ჩამოიშორეს და ასე რიგად „გასუფთავებული“ ადგილებიდან დაიწყეს „ახლის შენება“, პირდაპირი და ფიგურალური გაგებით და მნიშვნელობით.

იშვიათია მსოფლიოში ცივილიზებული ერი, რომელსაც თავისი დროის გალილეო გალილეი, კოპერნიკი, პეტრე იბერი, რუსთაველი, შექსპირი, უზნაძე და სხვა მათდაგვარი და საკუთარი კულტურული ნიადაგიდან ამოზრდილი გენიოსი არ წარმოეჩინა და მსოფლიო კულტურაში თავისი საგანძური არ შეეტანა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ქართველი ერი, მიუხედავად იმისა, რომ ქართული აზროვნება და მსოფლმხედველობა უმეტესწილად (ასეული წლების მანძილზეძ სხვა ძლიერი სახელმწიფოების წნეხის ქვეშ იყო მოქცეული. დღეს, დამოუკიდებელ საქართველოს მეტი შანსი და მეტი შესაძლებლობა უნდა მისცემოდა ქვეყნისა და ერის ასაყვავებლად მსოფლიო კულტურაში თავისთავადობის დასამკვიდრებლად, რომ ჩვენს ახლადმოვლენილ მთავრობას და მის თანამოაზრეებს საკუთარ კულტურაზე გაუგონარი ძალადობა არ ეხმარა...

დიახაც, ხვდებოდა ჩვენი საზოგადოების მართალი და მოაზროვნე ნაწილი, ქვეყანაში რომ რეფორმები იყო საჭირო. რა თქმა უნდა, საბჭოური წყობილებიდან გადმოყოლილი არხეინობისა და გაზულუქების ჭაობში ჩახრჩობა არ უნდოდათ.. თითქმის ყველანი ვხედავდით, რომ ჩვენი ცხოვრების მუხას ნიადაგი მოულპა, არ დარჩა არც ერთი სფერო მეცნიერებისა თუ საყოფაცხოვრებო დარგისა, სადაც პარტოკრატიამ, კორუფციამ და სხვა უკულმართობებმა ფრთები არ გაშალეს. ვხედავდით იმასაც, რა თავხედურად მიეტმასნენ ზოგიერთები ინტელიგენციის ფენას... და მერე რა მოხდა?!

ნუთუ დღეს ჩვენს ქვეყანას რეფორმები იმიტომ სჭირდებოდა, რომ ყველა ძველი ხე უმოწყალოდ ამოგვეთხარა და არც ერთი სალი ფესვი არ შეგვენარჩუნებინა და მხოლოდ კომპიუტერული ცოდნით აღმატებული, ახლებური პარტოკრატები და კორუფციონერები მოგვემრავლებინა?

სამთავრობო საფეხურებზე შემოდგომისთანავე მათ სადღაც, ნანგრევებში მოაყოლეს ის ძველებიც, რომლებიც თავის დროზე შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, რომ თავიანთი საქმით, ნიჭით თუ კალმით შებრძოლებოდნენ ძველი ეპოქის სიმახინჯეებს (ვითომცდა, კომუნისტური რომ ერქვა!ძ. ნუთუ იმიტომ, რომ ახალი ეპოქის ახლებური სიმახინჯეები დამკვიდრებულიყო ჩვენს მრავალჭირნახულ მიწაზე, ჩვენი მშრომელი ხალხის საწამებლად.?

რამდენი იბრძოლა, რამდენი სისხლი ღვარა ჩვენმა, თვალისჩინივით მოსავლელმა ხალხმა. ხალხმა, რომელშიც გამძლეობის, აზროვნების და ნიჭიერების უსაზღვრო პოტენციალი დევს და რომ არც გვეგონა ისე, თურმე, აღჭურვილიც ყოფილა ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების ნიშნებით. მთავრობამ, ხელისშეწყობისა და განვითარების ნაცვლად, თავზე დაგვანგრია ჩვენი გენეტიკური (თუ შეიძლება ასე ითქვასძ კულტურა.

სწორი გზით რომ წავსულიყავით და დაბნეულებს ბილიკ-ბილიკ, ჩიხებში არ გვევლო, მართლაც არ იქნებოდა დღეს საჭირო ასეთი უზარმაზარი მიტინგები და მანიფესტაციები. ახლა, აპრილ-მაისში ქართველი კაცი სულ სხვა საქმეებით უნდა იყოს დაკავებული. მთავრობამ ასარჩევი გზა არ დაგვიტოვა. რატომ უძნელდებათ ზედა ეშელონებში მოხვედრილებს სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეო ნაბიჯების გადადგმა? ისინიც ხომ ჩვენი ნაწილია, ჩვენი ხალხის წიაღიდან ამოსული.

ერთი თვეა, რაც აწრიალებული ხალხი ქუჩაშია გამოსული. ნუთუ ჩვენი ხალხი მართლაც გოდოს მოლოდინშია? ნუთუ დიდმა რეჟისორმა რობერტ სტურუამაც დაინახა და დროის შესაბამისად ყურადღება მიაქცია ქართველთა შორის არც თუ ისე პოპულარულ, მეოცე საუკუნის მწერალსა და მოაზროვნეს, ნობელისტ სამუელ ბეკეტს და რუსთაველის თეატრის მართლაც რომ დამაფიქრებელი სპექტაკლი — „გოდოს მოლოდინში“ დადგა?

სამწუხაროდ და საუბედუროდ, დასაშვებია ასეთი ვერსია. მე კი ნამდვილად არ მინდა „გოდოს“ ან „ყვარყვარეს“ მოლოდინში გავაგრძელოთ ეს მართლაც რომ უთავბოლო და მოსაბეზრებელი ცხოვრება და ვაქციოთ იგი იმ სპექტაკლად, რომლის ფილოსოფიურ ცინიზმში თუ ცინიკურ ფილოსოფიაში გარკვევა დიდმა ხელოვანებმა, — ბეკეტმა და სტურუამ, ჩვენ, მოაზროვნე მკითხველსა და მაყურებელს, მოგვანდეს.

**გულნარა სტურუა**

## ინფორმაცია

### ქუთაისში ბურჯანაძის მხარდამჭერებს ჩაგრავენ

**ნინო ბურჯანაძის** პარტიის წარმომადგენლებს ქუთაისში ავტომანქანები ჩამოართვეს.

როგორც გუშინ ქუთაისში გამართულ პრესკონფერენციაზე მათ განაცხადეს, სამშაბათ ღამით საპატრულო პოლიციამ პარტიის სამ წევრს ავტომანქანები საგზაო წესების დარღვევის მოტივით ჩამოართვა და 200-ლარიანი ჯარიმები დააკისრა.

ამ ფაქტს ბურჯანაძის მხარდამჭერები ოპოზიციაზე ზეწოლად და მათი პოლიტიკური გაერთიანების დისკრედიტაციის მცდელობად აფასებენ.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენლის, ქუთაისის ყოფილი მერის ბაკურ ბალანჩივაძის განცხადებით, საეჭვოა, როცა ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა უბანში სამ ადამიანს ავტომანქანას ართმევენ.

პარტიაში აცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათთან ბრძოლაში პატრულიც ჩართო.

### ხელისუფლება მოლაპარაკებებით დროს ჭიმავს

**ხელისუფლება** ოპოზიციას მოლაპარაკებების მეორე რაუნდის გამართვას სთავაზობს.

მმართველი გუნდის წევრები კიდევ ერთ განცხადებას აკეთებენ და აცხადებენ, რომ მზად არიან ოპოზიციის კონკრეტული წინადადებები განიხილონ.

პარლამენტის წევრი ნუგზარ წიკლაური პოლიტიკურ ოპონენტებთან შეხვედრის მეორე რაუნდისთვის კონკრეტული საკითხების განხილვას სთავაზობს.

დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, აცხადებენ მმართველ პარტიაში.

წიკლაურის თქმით, შეთავაზება ცნობილია. ეს არის 5-პუნქტიანი გეგმა, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან ბევრ საჭირბოროტო საკითხს მოიცავს, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას.

### დევნილი მოსახლეობა საპროტესტო აქციას შეუერთდება

**აფხაზეთის** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი საქართველოს“ წევრებმა გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელეს.

განცხადებაში, რომელსაც ხელს ჯემალ გამახარია, აპოლონ მესხია, დავით გვაძაბია, რაისა ქარაია და ვახტანგ ყოლბაია აწერენ, ნათქვამია, რომ ხელისუფლებამ ამოწურა თავისი რესურსი კონფლიქტის მოგვარების საკითხში და არსებული ხელისუფლების პირობებში შეუძლებელია ოდნავი პროგრესის მიღწევაც კი საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისა და კონფლიქტების დარეგულირების საქმეში.

ფრაქციის წევრები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზებსა და ოსებს პოზიტიური იმპულსები არ გასჩენოდა თბილისისადმი.

განცხადებაზე ხელისმომწერ პირთა აზრით, არსებული სიტუაცია ბუნებრივად უბიძგებს დევნილ მოსახლეობას შეუერთდეს საპროტესტო ტალღას.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

მხარე

*9 აპრილის წინა დღეებში ქუთაისს დიდი დაპირებებით ეწვია საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი და განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ქალაქის მოსახლეობა ნახევარ მილიონამდე გაიზრდება, თანაც 2010 წლიდან გრაფიკი აღარ დაგჭირდებათ, რადგან 24-საათიანი წყალმომარაგება გექნებათო.*

*სადაც წესი და სამართალი არსებობს და სწამთ, რომ „პირველად იყო სიტყვა და სიტყვაი იგი იყო ღმერთი", პრეზიდენტის ნათქვამმა ეჭვი როგორ შეიძლება დაბადოს?!*

*მაგრამ, ვაგლახ რომ, ზემოხსენებული დაპირებები არცთუ შემთხვევით გვაგონებს ხავსისთვის ხელწატანებულ წყალწაღებულს, რომელიც ცასა და ქვეყანას ჰპირდება, ოღონდ ახლა გადამარჩინეთ და ოქროს სარაიას აგიშენებთო.*

ვერა, ვერ აგვიშენებს!

რატომ ვამბობთ ასე დარწმუნებით?

კიდევაც რომ აგვიცხადდეს მავანთა მიერ დახატული ეგვიპტური მირაჟი, რომელიც ყოფილი საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე თავისუფალი სამრეწველო ზონის შექმნას, რამდენიმე საწარმოს დაარსება-ამუშავებასა და უამრავ სხვა სიკეთეს გვთავაზობს, ეს დიდად მაინც ვერაფერს შეცვლის საყოველთაო უმუშევრობით გამესამედებულ ქალაქში, სადაც 90-იან წლებამდელი მრავალი ათეული ფაბრიკა-ქარხნიდან მხოლოდ ორ საწარმოში – ავტომშენებლებთან და მეაბრეშუმეებთან 30 ათასი თანამშრომელი იყო.

რაც შეეხება წყალს, ეს საქმე რომ ამთავითვე წყალწაღებულია, ამას თითქმის ყველა ქუჩაში ადასტურებს ხამუშ-ხამუშ, მაგრამ სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკის ზუსტი შესაბამისობით გაჩენილი წყალუხვი მდინარეები და ის უმარტივესი სტატისტიკა, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ..

**– რამდენ ქუჩაზე იცვლება წყალგაყვანილობა?** – ვეკითხები ამ საქმის ჭეშმარიტ ექსპერტს, იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის ხელმძღვანელს ზაზა ხელაძეს.

რესპონდენტი შემთხვევით არ შემირჩევია. ასოციაცია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით ანხორციელებს იმერეთის წყალმომარაგებისა და დასუფთავების პროგრამებში საზოგადოების მონაწილეობის პროექტს და ქუთაისის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის ტექნიკური გამართულობის მონიტორინგისათვის თავკაცობს იმ ჯგუფს, რომელშიც მეცნიერები, დარგის სპეციალისტები, ჟურნალისტები და ქალაქის სხვა წარმომადგენლები შედიან.

– 28 ქუჩაზე. – გვეუბნება და აზუსტებს, – მილები იცვლება ჩვენს ქალაქში 18 კილომეტრიანა და 367 მეტრი სიგრძის მაგისტრალურ ხაზზე, მათ შორის ბაგრატის, პეტრე იბერის, რუას, ასლანიკაშვილის, ნიუპორტის, ყაზბეგის, ხანძთელის, დავითისა და კონსტანტინეს, წყალტუბოს, იოსელიანის, რიონჰესის, თომაშვილის, გორკის ქუჩებსა და ახალგაზრდობის გამზირის მეორე შესახვევში მილების შეცვლა 2010 წლის 31 მარტამდე გაგრძელდება,

**– როგორ მიმდინარეობს ეს სამუშაოები?**

– ფოთთან შედარებით გაცილებით არაორგანიზებულად., ამასთან ზოგჯერ არც თუ მოსაწონად.

როგორც მონიტორინგის შედეგად დადგინდა, ძირითადი მილსადენი ისე ჩაიდო, რომ მის ქვეშ ქვიშის ფენა არ შექმნილა. ბულდოზერებით მუშაობისას არ იყო დაცული ქვიშისა და ხრეშის მიწოდების *თანმიმდევრობა და მილსადენი მთლიანად მსხვილმარცვლოვან მასაშია გახვეული, ზოგან კი მხოლოდ სილითაა დაფარული. გამოვლენილია ზოგიერთი სხვა დარღვევაც, მაგრამ მთავარი მხოლოდ ეს არ არის. გაცილებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ამორტიზებული მილები იცვლება ქალაქის ქუჩების 10 პროცენტზე ნაკლებში, არადა, თითქმის ყველა დანარჩენ ქუჩაშიც, რომლებსაც წყალს აწოდებენ, ყველაფერი ნიაღვარს მიაქვს. აკი ამიტომაც მირჩია ჩემმა კოლეგამ, სატელევიზიო პროგრამა „ენერგიის" ენერგიულმა წამყვანმა მერაბ ბერაძემ, რომ ჩვენი საერთო მეგობრის, პოეტ ირაკლი ბაზაძის ქუჩაზე, სადაც დღემდე ვცხოვრობ, გენერატორი დამედგა, რათა დღეგამოშვებით, იმ ორი საათის განმავლობაში, როცა გრაფიკით წყალი უნდა მოგვაწოდონ, მე და ჩემმა მეზობლებმა ელექტროენერგია უფასოდ მივიღოთ.*

**რას ნიშნავს წყლის ასეთი დანაკარგი ქუთაისისა და ქუთაისელებისთვის?**

ამომწურავი პასუხისათვის ისევ სტატისტიკა მოვიშველიოთ.

***თითოეული კუბური მეტრი წყლის ამოტუმბვა და მომხმარებლამდე მიყვანა ქუთაისში ამჟამად 2,1 კილოვატ ელექტროენერგიას მოითხოვს, ამორტიზებული ქსელების დანაკარგი კი, ოფიციალური მონაცემებით, 47 პროცენტია.***

***უმარტივესი გაანგარიშებით ეს ნიშნავს, რომ თითოეული კუბური მეტრის რეალურად მიწოდებაზე დანახარჯი 40-მდე თეთრია. ეს კი გვაძლევს საფუძველს, ამთავითვე ავტეხოთ განგაში, რადგან თუ წყალს 24 საათის განმავლობაში საყოველთაოდ დადგენილი ნორმებით მართლაც მოგვაწოდებენ, თითოეულმა ქუთაისელმა ყოველ თვეში რამდენიმე ათეული ლარი უნდა გადაიხადოს.***

***ვინმე დაიჯერებს, რომ ამგვარ პირობებში ჩვენს ქალაქში 500 ათასი კაცი დასახლდება?***




მოგაწვდით „ასა"-სა და რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილი ანკეტური გამოკითხვის მხოლოდ ერთ პასუხს და, ვფიქრობთ, ამით ყველაფერი იქნება ნათქვამი.

– როგორ მიგაჩნიათ, რამდენად მისაღებია თქვენთვის წყლის ამჟამინდელი ტარიფი?- ამ კითხვას ქუთაისის მოსახლეობის 51,4 პროცენტმა უპასუხა, რომ ტარიფი ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ძვირიაო.

არადა. ამჟამად წყლის მოპოვებაზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს მოსახლეობა კი არა, მთლიანად სახელმწიფო იხდის.

ხვალ „ქუთაისწყალი" ისევე გაიყიდება, როგორც „თბილწყალი" და უამრავი სხვა ობიექტი.

ჰოდა, რა ეშველება ქუთაისსა და ქუთაისელებს? ვინ შეძლებს წყლის ღირებულების გადახდას?

ზოგიერთის ვარაუდით, ამ ტვირთს გარკვეულწილად შეამსუბუქებს ინდივიდუალური გამრიცხველიანობა.

გვაქვს ამის გამოცდილება და ძნელი არ არის, გავიხსენოთ, რომ ამგვარმა ღონისძიებამ აშკარად დაზოგა ელექტროენერგია, როცა კომუნალურის ნაცვლად ინდივიდუალური მრიცხველები დაიდგა.

დიახ, დანახარჯის ზუსტი აღრიცხვა ბევრ გაუგებრობას აგვაცილებს და შეამცირებს წყლის უყაირათო ხარჯვას, მაგრამ საარსებო ნორმით გათვალისწინებული მინიმუმის საზღაური მაინც ისეთივე აუტანელ სიმძიმედ დარჩება, როგორც გადამთიელ ელექტრომამათა მიერ საქართველოს მოსახლეობის უსაშინელესი ექსპლუატაცია.

მაშ, სად არის გამოსავალი?

ქუთაისსა და ფოთში 24-საათიანი წყალმომარაგების პერსპექტივის გაჩენისთანავე ხაზგასმით ითქვა, რომ ორივე ქალაქი თვითდინებით მომარაგდებოდა. ფოთში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისას ეს დაპირება შესრულდა. ქუთაისში კი ყველაფერი რამდენიმე ასეულს აღმატებული ქუჩიდან 28 ქუჩის რეაბილიტაციასა და ქალაქის მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანობაზე დავიდა.

**ასეთ პირობებში ჩვენს ქალაქს არასდროს ეღირსება არც ნახევარი მილიონი მოსახლე და არც იმის ნაასალი სიკეთე, რასაც პრეზიდენტი გვპირდებოდა.**

**ხუთასი ათასი კი არა, დღევანდელი ასი ათასიც თუ გადაურჩა უმუშევრობასა და არასრულფასოვან კვებას, წყლის თითოეული წვეთის ფასი ყელზე დაადგება და სამუდამოდ მოუღებს ბოლოს.**

**ჰოდა, რადგან თითოეულ ჩვენგანს საკუთარი გაჭირვება ისედაც თავზე საყრელი გვაქვს, თვალს მაინც ნუღარ აგვიხვევ, თავს ნუღარც შენ მოიტყუებ და ნურც ჩვენ მოგვატყუებ, პრეზიდენტო!..**

ალექსანდრე შენგელია,
„სრ" საკ. კორ.
ქ. ქუთაისი

გზა – სიკვდილისკენ!

# რატომ არ იყიდა ნიკამ ძილის წამალი?

## ბოლო ორი წლის განმავლობაში სამამულო წარმოების ვალიდოლის ფასი 300 პროცენტით, ხოლო უცხოურისა – 400-ით გაძვირდა...



***მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამა თუ იმ ოდენობით და სხვადასხვა ფორმით წამლებსა და მედიკამენტებს რომ მოიხმარს, ეს ამბავი განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს. სხვადასხვა სოლიდური წყაროს მონაცემებით, ბოლო დროს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მით უმეტეს, საყოველთაო ფინანსურ-ეკონომიკური რეცესიის პირობებში, წამლების (უწინარესად, არა სპეციფიკური, არამედ საყოველთაო, ასე ვთქვათ, „ფართო მოხმარების") ფასმა მნიშვნელოვნად დაიწია, თუმცა ჩვენში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, პროცესი საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს, საკმაოდ ინტენსიურადაც. რამდენჯერ გაძვირდა თუნდაც ამ ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე წამლები საქართველოში, დანამდვილებით ამის თქმა, გარდა საფარმაცევტო ბაზრის „ვეშაპებისა" და ამა თუ იმ წამლის მუდმივი მომხმარებლებისა, დარწმუნებული ვარ, ზუსტად არავინ იცის.***

თავი დავანებოთ ავადმყოფების სტაციონარული მკურნალობის, გნებავთ, ქირურგიული ოპერაციების წარმოუდგენლად მაღალ ფასებს, რომლებიც, ქვეყნის მოსახლეობის **აბსოლუტური უმრავლესობის** ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არა მის ჯანმრთელობაზე ზრუნვითაა დადგენილი, არამედ, არ მოვერიდები თქმას, მის გაწყვეტაზეა ორიენტირებული, აფთიაქებში, ასე ვთქვათ, „ელემენტარული" წამლების ფასიც, როგორც ყველანი მშვენივრად ვხედავთ, ამავე მიზანს ემსახურება. სხვას თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ ორ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: **ბოლო ორი წლის განმავლობაში სამამულო წარმოების ვალიდოლის ფასმა 300, ხოლო უცხოურისამ – 400 პროცენტით მოიმატა და ახლა ათი აბი ათი თეთრი კი არა, 40 თეთრი ღირს. კიდევ უფრო მეტად საოცარი „მეტამორფოზა" განიცადა ისეთმა ბანალურმა პრეპარატმა, როგორიცაა დასალევი ნახშირი, რომლის ათი აბი ცოტა ხნის წინათ 10 თეთრი ღირდა, ახლა 50 თეთრი (!!) გახდა, ამ რამდენიმე დღის წინათ კი 34 თეთრამდე შემცირდა, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისია.**

თუ რატომ ხდება ასე, ამის გარკვევა, დარწმუნებული ვარ, ყველას ერთნაირად გვაინტერესებს. ამიტომაც მიზეზთა გასარკვევად საფარმაცევტო ბაზარზე ერთ-ერთი უმსხვილესი დისტრიბუტორი ფირმის PSP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს **მარიკა ლომთაძეს** მივმართე, და აი, რა პასუხი მივიღე ოფიციალურად.

**„ბოლო პერიოდში ბევრი არაკორექტული და დაუზუსტებელი ინფორმაცია ვრცელდება. რეალურად ფარმაცევტულ სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ცვლილებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:**

**1. უცხოელი მწარმოებლების მიერ ყოველწლიური ფასების ზრდა.**

**PSP-ს პარტნიორების უმრავლესობა უცხოური ფარმაცევტული კომპანიებია. მედიკამენტები PSP-ს სააფთიაქო ქსელში შემოდის მწარმოებელი ქარხნებიდან. შესაბამისად, ბაზარზე მედიკამენტების ფასების დონე დამოკიდებული მეტწილად უცხოური მწარმოებლების მიერ ყოველწლიურად ფასების ცვლილებაზეა. სამწუხაროდ, უცხოური მწარმოებლები ყოველწლიურად ფასებს ზრდიან.**

იხ. 6 გვ.

გლობუსი

# საკუთარი საქმე თვითონ უნდა აკეთო

**„ბიჭოვ, ვისი ხარ მალხაზი"... საზოგადოების სისტემატური განსჯის საგანია. ზოგი მას ამერიკას აკუთვნებს, ზოგიც — რუსეთს. ზოგი თვლის, რომ ის ვაშინგტონის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ის იყო, არის და იქნება რუსეთის კაცი. სააკაშვილის დასავლეთ-აღმოსავლეთის კუთვნილებაზე ლაპარაკი თითქმის ექვსი წელია მიმდინარეობს. მის მიერ განვლილი ცხოვრება, აშშ-ში გავლილი სასწავლო კურსები, ჰოლანდიელი მეუღლე, ყოველივე ამერიკულისადმი მონური ტრფიალი, აშკარად ჯაბნის თუნდაც საბჭოეთის სახელმწიფო უშიშროების სასაზღვრო ჯარში გავლილ სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ბიძის თემურ ალასანიას რუსეთის სპეცსამსახურში მუშაობის ფაქტს, თუმცა არც ესაა ნაკლებმნიშვნელოვანი.**

სტატიის მიზანი სულაც არ არის იმის დადგენა „ვისი ბიჭია მალხაზი", არამედ ზოგიერთი მომენტის გახსენებაა, რამაც ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილში სააკაშვილის მმართველობის საწინააღმდეგო მუხტი გააჩინა.

**ხუთწლიანი მმართველობის დროს ჩადენილ და დაშვებულ, შეგნებულ თუ შეუგნებელ შეცდომა-დანაშაულის ჩამოთვლას თაბახები დაჭირდება. დასადგენი იქნება ისიც, რა წვლილი მიუძღვის დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს, „ვარდების რევოლუციის" შედეგად ქვეყანაში გატარებულ „რეფორმებში". მიუკერძოებელმა, ობიექტურმა ანალიზმა უნდა დაანახოს საზოგადოებას, სად იმყოფება საქართველო, რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის გადარჩენისათვის.**

შექმნილი მძიმე ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული ვითარება სერიოზული დაფიქრების, ღრმა დასკვნების გაკეთების აუცილებლობას მოითხოვს, მაგრამ ჯერჯერობით არც საზოგადოება და არც ხელისუფლება ამისათვის მზად არ არის.

**ხუთწლიანი სპონტანური მმართველობა, რასაც საქართველოში აქვს ადგილი, შორს არის ქვეყნის თუნდაც პრიმიტიული მართვისათვის საჭირო მოთხოვნებიდან. ხელისუფალთა უვიცობამ, გაუნათლებლობამ, გამოუცდელობამ და აგრესიულობამ მიწასთან გაასწორა ქვეყნის სამეურნეო-კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი დარგები. არსებული ქაოსიდან ამოსვლას წლები დასჭირდება, თუმცა არც არავინ იცის მოახერხებს თუ არა ამას ქვეყანა.**

ზემოთ აღვნიშნე ქვეყნის „გაბედნიერებაში" აშშ-ს წვლილზე. პირადი სიამტკბილობის მოსურნე ზოგიერთი ახალგაზრდისათვის მხოლოდ ამერიკული ფასეულობების გადმოტანა მოუტანს ქვეყანას წინსვლას და სულიერ სიმშვიდეს. ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთს არ აქვთ ადგილი და არც ექნება, ვინაიდან სხვისი ფასეულობების ბრმად გადმოტანა მარცხისთვისაა განწირული.

საეჭვოა ამერიკელთა გულწრფელობაც. ჩვენი დამოკიდებულება მათდამი ძირფესვიანად განსხვავდება მათი ჩვენდამი დამოკიდებულებისგან. სუპერსახელმწიფოს სხვებისადმი მიდგომა იყო და იქნება პრაგმატული, მხოლოდ მისთვის სარგებლის მომტანი. აშშ-ი საკუთარი გეგმების განხორციელებისათვის, მილიონობით დოლარს ხარჯავს. ქმნის ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაციას, დახმარებას უწევს ჯარს, პოლიციას, საკუთარი ძალისხმევით შექმნილ ხელისუფლებას. და ყოველივე ამას აკეთებს მხოლოდ საკუთარი ინტერესების და არა ადგილობრივთა განსამტკიცებლად. ამაოდ ცდილობს ოპოზიცია მასსა და ხელისუფლებას შორის მოწონების სასწორის თავის მხარეზე გადმოწონას. ვაშინგტონი დღეს უკვე ნაკლებად, მაგრამ მაინც მხარს უჭერს ხელისუფლებას. მისთვის არაფერს ნიშნავს ხალხის ანტისახელისუფლებო განწყობა, პერმანენტული მიტინგები, უნიათო მმართველობის შედეგად შექმნილი გაუსაძლისი პირობები. **მისთვის მთავარია საკუთარი ინტერესები და ამ ინტერესთა გამტარებელი ადგილობრივი ხელისუფლება. მისთვის მთავარია კავკასიური პლაცდარმის განმტკიცება, გავლენის სფეროს გაფართოება, რეგიონიდან რუსეთის განდევნა, მის სამხრეთ საზღვრებთან სამხედრო პოტენციალის ჩამოყალიბება, კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგეტიკულ სიმდიდრეებზე კონტროლის დაწესება და ყოველივე ამაში საქართველოს გამოყენება. სრულიად გულუბრყვილოდ ჩანს ზოგიერთი ექსპერტის მტკიცება ამერიკელთა უანგარო დახმარების თაობაზე. როგორც ჩანს, ცხინვალის ომმა მათ ვერაფერი ასწავლა. ამერიკული დახმარების ხსენებისას გასარკვევია ვის დახმარებაზეა ლაპარაკი — ხელისუფლების თუ ქვეყნის? ამერიკა ეხმარება საკუთარი ინტერესების დამცველ ხელისუფლებას, ხოლო ის მცირედი დახმარება, რასაც ქვეყანა იღებს, ისევ ხელისუფალთა პოზიციების განმტკიცებას ემსახურება.**

საქართველოს საკითხმა კიდევ ერთხელ მიიპყრო ყურადღება ვაშინგტონის მოლაპარაკების დროს. ობამა-ლავროვის, კლინტონ-ლავროვის



საუბრებისას მხარეებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საქართველოსადმი, უფრო სწორად სააკაშვილისადმი. ლავროვმა ჯიბეში ხელჩაუყოფლად აღწერა საქართველოდან გამომდინარე საფრთხეები. მასპინძლებმა გამოხატეს შეშფოთება კავკასიაში მიმდინარე პროცესებისადმი და დააფიქსირეს რუსეთისაგან განსხვავებული პოზიცია, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ საქართველოს, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასა და ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების თაობაზე საფუძვლიანი საუბარი გაიმართება ა. წ. ივლისში მედვედევ-ობამას მოსკოვის შეხვედრის დროს. **ჰილარი კლინტონის მიხედვით ვაშინგტონი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას, თუმცა მხარდაჭერის ხარისხი ნაკლებდამაიმედებელი უნდა იყოს ხელისუფლებისთვის.**

**ივლისის მოსკოვის სამიტზე საბოლოოდ გაირკვევა „ვისი იქნება ბიჭი მალხაზი". მანამდე კი, როგორც ამერიკული, ისე ევროპული დიპლომატია დაბეჯითებით განუცხადებს ოპოზიციასა და პროტესტანტულ საზოგადოებას, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები საშინაო ხასიათისაა, ისინი კი ასეთში არ ერევიან. დიპლომატები ქვეყნის ხელისუფლებასთან არიან აკრედიტებული და ძნელი წარმოსადგენია მათი მხრიდან, ოპოზიციის მიმართ სიმპატიების გამოხატვა.** დიპლომატიური კორპუსი ვერც შუამავლის როლს შეასრულებს, თუ მას ამისთვის საკუთარი ხელისუფლების დირექტივა არ ექნება. ერთი, რაც დიპლომატებს შეუძლიათ — მოსმენაა და ისინიც მოთმინებით, უკომენტაროდ უსმენენ ხან ოპოზიციას, ხან დამოუკიდებელ ექსპერტებს, ხან გაურკვეველი „ნდობის ჯგუფის" წარმომადგენლებს. თავის მხრივ დიპლომატები დაბეჯითებით მოუწოდებენ „დიალოგს" და „საშინაო საქმეებში ჩაურევლობას", როდესაც სალაპარაკოდ მისული ხელისუფლების შეცვლაში დახმარებას ითხოვს. ერთი საყურადღებო ნიუანსი: ევროპელი დიპლომატები თვალებში შესციცინებენ ამერიკის საელჩოს თანამშრომლებს. მათ გარეშე ისინი სიტყვასაც არ იტყვიან.

დიპლომატიურ პრაქტიკაში არაერთხელ ჰქონია და აქვს ადგილი ადგილსამყოფელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას. მაგალითისთვის ლათინური ამერიკის ის ქვეყნებიც კმარა, სადაც ხელისუფლებაში მემარცხენე პარტიებია. ასეთ დროს ამერიკელი დიპლომატები აშკარად მხარს უჭერენ მემარჯვენე ძალებს, აქეზებენ მათ ხელისუფლების წინააღმდეგ. მსგავსი ქმედება ხშირად ქვეყნიდან დიპლომატთა გაძევებითაც თავდება. ზოგ ქვეყანაში აშშ-ს საელჩო ისე სერიოზულად აფათურებს ხელს საშინაო საქმეებში, ობიექტურად იქმნება მოსაზრება, თუ ვინ მართავს ქვეყანას. ანალოგიურს აქვს ადგილი საქართველოში. **1992 წლიდან დაწყებული აშშ-ს საელჩოს ფუნქცია საქართველოში სცდება დიპლომატიური მისიის ფუნქციას. აშშ-ს ელჩი ყოველთვის ასრულებდა მენტორის როლს. ამდენად, იმ „სიკეთეებში", რაც საქართველოს დაატყდა თავს, ამერიკელთა დიდი წვლილიც არის. ამ ხნის განმავლობაში ვაშინგტონი უცილობლივ მხარს უჭერდა, როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის ხელისუფლებას, ვინაიდან ისინი, განსაკუთრებით სააკაშვილი, „საკუთარ მალხაზებად" თავისი შორს მიმავალი გეგმების რეალიზაციის გამტარებლად მიაჩნდა".**

ასეთ ვითარებაში საეჭვოა ოპოზიციამ თავის სასარგებლოდ გადმოაწონინოს ამერიკელ ან ევროპელ დიპლომატებს სამართლიანობის სასწორი, მაგრამ დიპლომატიური კორპუსი პირველი მიესალმება ოპოზიციის მეცადინეობით განხორციელებულ ხელისუფლების ცვლას. ისინი ახალ ხელისუფლებასთან იქნებიან აკრედიტებული. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ საკუთარი საქმე თვითონ უნდა აკეთო.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

გზა — სიკვდილისკენ!

# რატომ არ იყიდა ნიკამ ძილის წამალი?

(მეხუთე გვერდიდან)

**2. სავალუტო კურსის ცვლილება.**

**თუ მომავალში ლარი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში დასუსტდება, მედიკამენტების ფასები უცხოურ ვალუტაში უცვლელი დარჩება, ხოლო ლარში, სამწუხაროდ, გაიზრდება. შესაბამისად, თუ ლარი გამყარდება, მედიკამენტების ფასი ლარში დაიკლებს.**

**სამწუხაროდ, სავალუტო კურსის ცვლილება დამოკიდებული ფაქტორია როგორც მწარმოებლისთვის, ისე დისტრიბუტორისთვის. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასების წინააღმდეგ ჩვენ ფაქტიურად უძლურები ვართ.**



**საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე წარმატებით მოქმედებს 20-ზე მეტი იმპორტიორი კომპანია: „კრისტალი", „ტონუსი", „იმპექსფარმი", „ვორლდ მედიცინი", „მირკო", „ეიბისი", „სამგორი ფარმა", „ბათფარმა", „სახალხო აფთიაქი" და სხვები. შესაბამისად, ნათელია, რომ არავითარი მონოპოლია არ არსებობს.**

**ასევე არსებობს სხვადასხვა სააფთიაქო ქსელები: „ავერსი", „PSP " „ჯიპისი", „წითელი A", „36,6", „სახალხო აფთიაქი"... ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მონოპოლიის არარსებობას. შედარებისთვის, აშშ-ს ფარმაცევტული ბაზრის 92 პროცენტი უკავია სამ წამყვან ფარმაცევტულ კომპანიას (აქედან 2 კომპანია აკონტროლებს უმეტეს წილს) და არავის აზრად არ მოსდის, გააკრიტიკოს საკუთარი ქვეყნის წარმატებული კომპანიები. ქვეყანა ვერ განვითარდება თუ არ ეყოლება ძლიერი, მზარდი კომპანიები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას გააძლიერებენ"** (სტილი დაცულია — **ო.ტ.**)

შემდეგ PSP-დან მიღებულ პასუხში ლაპარაკია კომპანიის საქველმოქმედო საქმიანობაზე, რასაც სავსებით ვეთანხმები და მივესალმები ისევე, როგორც თეზისს, რომ **„ნებისმიერი ქართული კომპანიის ზრდა, მისი მსოფლიო ბაზარზე გასვლა და მსხვილ კომპანიად გადაქცევა მხოლოდ დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს და მის მოსახლეობას"**. მაგრამ, გარდა ამისა, რამდენიმე შენიშვნაც მაქვს. კერძოდ: პასუხში ნათქვამია, რომ მედიკამენტების უცხოელი მწარმოებლები ფასებს ყოველწლიურად ზრდიან და რომ წამლების ფასი ლარის უცხოურ ვალუტებთან შეფარდებით შესუსტების გამო იზრდება.

დავიწყებ იმით, რომ ერთობ საეჭვოდ მეჩვენება მწარმოებლების მიერ შედარებით მარტივი, ასე ვთქვათ, „საყოველთაო" მოხმარების წამლების ფასის **ყოველწლიური** მატება და კიდევ ის, რომ სადისტრიბუციო ქსელში ფასის ზრდა მაინცდამაინც ლარის კურსის შესუსტებითაა გამოწვეული. დალოცვილებო, წლების განმავლობაში (სულაც შარშანდელ ნოემბრამდეც ლარი რომ მყარდებოდა, **განა რომელიმე დასახელების წამალს თუნდაც ერთი თეთრი დაკლებია?** წამალსაც თავი რომ დავანებოთ, განა ჩვენში რომელიმე სახეობის პროდუქცია (გარდა სოფლის მეურნეობისა და ტანსაცმლის, რაც ფასების სეზონური მერყეობითაა განპირობებული) გახსოვთ გაიაფებული? ძალიან ნაკლებად, თუ არ ჩავთვლით მოძველებული მოდელების მობილურ ტელეფონებს, მაცივრებს, ტელევიზორებს და ა.შ.

ამასთან, მერე რა, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე 20-ზე მეტი დისტრიბუტორი კომპანიაა? აფთიაქების საკუთარი გაშლილი ქსელი ხომ მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს? თანაც ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

და კიდევ ერთი. პასუხის ბოლოს აღნიშნულია, რომ **„იმპორტირებული მედიკამენტების წილი საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე შეადგენს 85 პროცენტს. დარჩენილი 15 პროცენტი უკავია ადგილობრივ წარმოებას. საჭიროა კიდევ რამდენიმე წელი, რომ ქართულმა ფარმაცევტულმა წარმოებებმა შეძლონ აწარმოონ მეტი წილი უცხოური მედიკამენტების ანალოგებისა. ახალი მედიკამენტების ფასები 30-40 პროცენტით უფრო იაფი გახდება უცხოურ ანალოგებზე და შედეგად, ქართული ფარმაცევტული ბაზარი გახდება ნაკლებად მგრძნობიარე იმპორტირებულ წამლებზე ფასების ზრდისგან"** (სტილი აქაც დაცულია — **ო.ტ.**).

ვთქვათ და, ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ წეღანაც ხომ აღვნიშნე, რომ წამლები ჩვენში ერთი თეთრითაც არასოდეს არ გაიაფებულა! ანდა ახლა მაინც რა უჭირთ ასეთი, პატივცემულ ფარმაცევტული პროდუქციის დისტრიბუტორებს, რომ ადგილობრივი წარმოების წამლებში მაინც არ აიღონ ფული ასე ულვთოდ, ვიდრე მართლაც მთლად არ ამოვმწყდარვართ?!

**დაბოლოს, იქნებ ძალიანაც ვაუბრალოებდე სიტუაციას, მაგრამ ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტი გამახსენდა: უძილობით გაწამებულმა ნიკამ ძილის წამლის ყიდვა გადაწყვიტა. როდესაც ფარმაცევტმა მისთვის სასურველი მედიკამენტის ფასი უთხრა, ნიკა აფთიაქიდან გავარდა — ამდენი ფულის გადახდის მერე რა წამალი მიშველის და დამაძინებსო!**

**ძალიან უჭირს, ბატონებო, მატერიალურად უკიდურესად შეჭირვებულ მოსახლეობას ესოდენ ძვირადღირებული, მაგრამ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტების შეძენა! იქნებ გაითვალისწინოთ ეს?**

**ოთარ ტურაბელიძე**

პიროვნება

# უდროეკი ბერმუხა!

## ოთარ ფაცაცია — 80

**დგას დღეს იგი — ოთარ ფაცაცია — ყველაზე მაღალ მწვერვალზე, რომელიც თავისი ცხოვრების დიდ გზაზე დაუპყრია, თავადაც კავკასიონის მწვერვალებივით თმათეთრსა და უდრეკს. 2009 წლის 15 მაისს ბატონი ოთარი ოთხმოცის ხდება.**

**მივულოცოთ!**

მამულიშვილური მოღვაწეობის მრავალი წლის განმავლობაში არაერთი გადაულახავი წინაღობა აღმართულა მის წინაშე, რომელიც თავგანწირული სულიერი სიმტკიცითა და შეუპოვრობით, გონიერებითა და არაჩვეულებრივი კაცთმოყვარეობით დაუძლევია.

ამის ეგებ ყველაზე უფრო სახიერი მაგალითი იყო 1993 წლის შემოდგომის მიწურულის ჭუბერის უღელტეხილზე აფხაზეთიდან დევნილი ათასობით გაწამებული ადამიანის, დიდისა და პატარის სიცოცხლის გადარჩენა, დევნილთა ქაოსური ტალღის ორგანიზებულობის კალაპოტში ჩაყენება და იმ ჯოჯოხეთიდან გამოყვანა. ამ საქმეს სათავეში ბატონი ოთარ ფაცაცია ედგა, იმ დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ხალხის გადარჩენისათვის კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა იუბილარს! იმ ცრემლის შეშრობისთვის, რომლითაც აუვსო თვალთა უპენი საქართველოს ჭუბერის ტრაგედიამ.

არავინ იცის, რამდენი მდუღარე ცრემლი ჩაიბრუნა გულში ამ გაუტეხელი სულის ვაჟკაცმა, როცა ჭუბერის უღელტეხილზე თანამემამულეთა უსასოობას ხედავდა.

ამბობენ, ატირებული ოთარ ფაცაცია მხოლოდ ორჯერ ვნახეთო: ერთხელ, როცა მისი ნასათუთარ-აშენებული ენგურქაღალდკომბინატის სასტუმროს ალმოდებულს უყურებდა და მეორედ ვაჟიშვილის კახა ფაცაციას კუბოსთან უძალო და შეძრწუნებული რომ იდგა.

უსასო და უძალო დახვდა მას, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულს, ქვეყანა, რომელიც ფაქტობრივად ხელების ფათურით ცდილობდა, რომ გაეკვლია თავისუფლების პირველი წლების გზა უვალი. მან შეძლო დაუშრეტელი ენერგიის, ორგანიზატორული ნიჭისა და ფართო ერუდიციის წყალობით, საკუთარი წვლილი შეეტანა სუვერენული ქვეყნის ახალი, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის საფუძვლების ჩაყრაში.

მისი პირადი წვლილი არის, ეგებ გადამწყვეტიც, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის უსაშინლესი სამოქალაქო ომი ქვეყნის გახლეჩასა და ძმათა დაპირისპირებაში რომ არ გადაიზარდა.

„ბატონმა ოთარმა დიდი სამუშაო შეასრულა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ის მაშინ მოვიდა, როცა პროცესები ფაქტობრივად უმართავი იყო და ძალიან დაეხმარა ქვეყანას ელემენტარული წესრიგის აღდგენაში. შემდეგ ის კვლავ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. თუმცა აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს პარლამენტშიც და დიდ საქმეებს აკეთებდა შერიგების პროცესის საბოლოოდ დამთავრებისთვის, შავიზღვისპირეთის განვითარების პროექტის შედგენასთან დაკავშირებით და მრავალი სხვა მიმართულებით" — წერდა იმ დროს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.



საქართველოს სახელმწიფო მშენებლობაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, მისი დამსახურებისთვის ქართველი ხალხის წინაშე ოთარ ფაცაცია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა ხელისუფლებამ, ხალხმა კი — სიყვარულით, მოწიწებითა და პატივისცემით. ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო შავიზღვისპირეთის განვითარების ის პროექტი, რომელსაც ბატონი ოთარ ფაცაცია ამუშავებდა: რეალური ხედვა რეალურ შესაძლებლობებსა და პრაქტიკულად არსებულ რესურსებს ეფუძნებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ პერსპექტიულ საქმეში აქცენტი გაკეთებული იყო ეკონომიკის ახალი დარგის განვითარებაზე. ფოთის პორტისა და სენაკის სამხედრო აეროდრომის რეკონსტრუქციაზე სამოქალაქო გადაზიდვების შესასრულებლად და ა.შ. საკურორტო ინფრასტრუქტურა ამის პარალელურად უნდა განვითარებულიყო სანაპიროს ტრადიციულ და აუთვისებელ ზონებში.

ეს მასშტაბური პერსპექტივა იმ დროს ისახებოდა, როცა ხელისუფლებას ყოველდღიურად უნდა გადაეწყვიტა ნახევრად მშიერი ქვეყნის მოსახლეობის უმწვავესი საარსებო პრობლემები. ასეთი ხედვა კი მხოლოდ ულევი ოპტიმიზმისა და უკეთესი მომავლის იმ რწმენის პირობებში იყო შესაძლებელი, როცა სახელმწიფო სათავეში მდგარ თაობას ცოდნაც ჰქონდა და გამოცდილებაც, რეალისტური თვალით მომავლის განჭვრეტის უნარიც და პერსპექტივის მატერიალიზაციისათვის ორგანიზატორული მუშაობის ნიჭიც.

ბატონი ოთარი ამ საქმიანობის სათავეში იდგა. პირველი ნაბიჯები საბოლოო წარმატების საწინდარი იყო. მაგრამ სწორედ ამ დროს გააქტიურდნენ ნეგატიური ძალები ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ და სამოქალაქო ომმა დაწყებულ სტაბილიზაციას, ქვეყნის იავარქმნილი ეკონომიკის ნანგრევებიდან აღდგენის ურთულეს საქმეს ხაზი გადაუსვა.

მთავარი ამოცანა საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება და შიმშილის ზღვარზე მდგარი ხალხის ფიზიკური გადარჩენა იყო.

საქართველოს ხელისუფლებამ ეს რომ შეძლო, ოთარ ფაცაციას დამსახურებაც არის, მისი დაუღალავი ოპტიმიზმის, უსაზღვრო ენერგიისა და გამოცდილების შედეგიც.

ეს გამოცდილება და პროფესიონალიზმი წლების განმავლობაში იხვეწებოდა და მდიდრდებოდა.

მის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი, ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობასთან ერთად, ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში საქმიანობის წლებს უკავია. ეს საწარმო საქართველოში და საკავშირო მასშტაბით თვალსაჩინო და გამორჩეული რომ გახდა, სწორედ ბატონი ოთარის დამსახურებაა.

ამის ნათელი მაგალითია ის, რომ როცა ბატონი ოთარი დაინიშნა ენგურქაღალდკომბინატის დირექტორად, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის 80 პროცენტი სხვა ეროვნების წარმომადგენელი იყო. სწორედ მაშინ მიიღო მან გადაწყვეტილება ყოველნაირად შეეწყო ხელი ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის საწარმოსთვის საჭირო სპეციალობის დაუფლებაში, რისი დასტურიცაა ლენინგრადის ტექნიკური ინსტიტუტის მისაღები გამოცდების ჩატარება ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლაში, ინსტიტუტის თანამშრომლებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ. მისი დირექტორად დანიშვნის დროს კომბინატი წამგებიანი საწარმო იყო — ყოველწლიურად 7 მილიონი მანეთს ღებულობდა სახელმწიფოსგან დოტაციის სახით, ხოლო როცა იქიდან წამოვიდა — კომბინატის წლიური მოგება 25 მილიონ მანეთს შეადგენდა.

ნიჭიერ ორგანიზატორს არა მარტო ქაღალდის პროდუქტების დამზადების ოპტიმიზაციის საკითხები ჰქონდა ყურადღების ცენტრში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მუშა-მოსამსახურეთა პრობლემების მოგვარებასაც. ამიტომ უყვართ ის და დღესაც აფასებს ხალხი.

სწორედ ოთარ ფაცაციას ძალისხმევით შეიცვალა კომბინატში პროდუქციის მიღების ტექნოლოგია, რის შედეგადაც შეწყდა საქართველოს ტყეების, განსაკუთრებით მთიანი სვანეთის ტყეების სამრეწველო ჩეხვა. საჭირო ცელულოზა რუსეთიდან შემოჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ წყლის ბიოლოგიური გაწმენდა საქართველოში პირველად კომბინატში დაინერგა. კომბინატის დასახლება ისე კეთილმოეწყო და გამშვენდა, რომ პატარა ქალაქს დაემსგავსა.

ბატონი ოთარი დროისა და ეპოქის შესაფერისად აზროვნებდა ყოველთვის და ცოტა შორსაც იხედებოდა. ამიტომ მისთვის მოულოდნელი და უცხო არ გამოდგა საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, რომლებზეც გადადიოდა ქვეყნის ეკონომიკა. ამ პრინციპების დანერგვას შეუწყო მან ხელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში და საქართველოს პარლამენტში დეპუტატობის დროს. დამოუკიდებელი საქართველოს ურთულეს პერიოდში მოუწია მას ზუგდიდის რაიონის გამგებლად მუშაობა. მისი დამსახურებაა, რომ დაპირისპირებულ ძალთა კონფრონტაცია საქართველოს ამ რეგიონში გამოუსწორებელი შედეგებით რომ არ დამთავრდა.

ბატონი ოთარი თითქმის 30 წელი მუშაობდა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში დირექტორად, ვიდრე ზუგდიდის გამგებლად დაინიშნებოდა.

ეს იყო პერიოდი, როცა საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება პიკს აღწევდა, ხოლო მისი ეპიცენტრი სამეგრელო გახლდათ. გამგებლად მუშაობის პერიოდში მოუკლეს სიძე, რამდენჯერმე ესროლეს ტყვია. დაუცხრილეს სახლი, მაგრამ ღვთის წყალობით გადარჩა და ბევრი სხვაც გადაარჩინა, იმ დროს სტუმრად თუ მივლინებით ჩამოსული ადამიანი. ასევე ბევრჯერ ააცილა საფრთხე სამეგრელოს.

2003 წლის 15 მაისს ბატონ ოთარ ფაცაციას 75 წლის იუბილისადმი მიძღვნილ წერილში „საქართველოს რესპუბლიკა" წერდა: „სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენიებენ მთელს საქართველოში ოთარ ფაცაციას დღემდე. მეგრელებს კი თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამდნენ.

კაცობის გვირგვინიც ხომ ეს არის".

ჯილდოები ოთარ ფაცაციას არ აკლია. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის, მანამდე ლენინის, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენის კავალერია, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარული და პატივისცემაა, რომელიც როგორც ვთქვით, კაცობის გვირგვინად ადგას მრავალ ქარიშხალგადატანილ ბერმუხას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სავსებით უერთდება ბატონ ოთარ ფაცაციას მეგობრების გულწრფელ გულითად სურვილებს და სულითა და გულით ულოცავს ამ დიდებულ სახელმწიფო მოღვაწესა და ჩინებულ ქართველ ადამიანს დაბადების მეოთხმოცე წლისთავს.

მადლობა ყველაფრისთვის, ბატონო ოთარ, დანარჩენ სათქმელს თქვენი 100 წლისთავის იუბილისათვის ვინახავთ.

**მეგობრები**

გამოფენა-გაყიდვა

# ხელმოკლე და მრავალშვილიან ოჯახებს დაეხმარნენ

**საქველმოქმედო ფონდი „SOCO", რომლის პრეზიდენტია სანდრა ელისაბედ რულოვსი და საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი „GIEV"-ი (პრეზიდენტი ექრემ შაჰანი) უკვე მრავალი წელია ქველმოქმედებას მისდევენ.**

საგულისხმოა, რომ მათი ერთობლივი ძალისხმევით გამორჩეული სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ჰუმანიტარული და საქველმოქმედო ღონისძიებები გაიმართა.

კეთილშობილურ მიზანს ისახავდა დიდ დიღომში დემირელის სკოლა-ლიცეუმ „სხივში" გამართული საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, რომელიც „SOCO"-ს პრეზიდენტმა **სანდრა ელისაბედ რულოვსმა** გახსნა. მან მადლობა გადაუხადა საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდს, რომელიც ხშირად მართავს ასეთ საღამოებს. შეგროვილი თანხა მრავალშვილიან და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს გადაეცემათ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა **გიული ალასანიამ** აღნიშნა, რომ ასეთმა საქველმოქმედო საღამოებმა ტრადიციული ხასიათი შეიძინა. მან მადლობა გადაუხადა თურქეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომელთაც აქციაში მონაწილეობა მიიღეს.

ორდღიანი გამოფენა-გაყიდვის მნიშვნელობას სკოლა-ლიცეუმ „სხივში" ხაზი გაუსვეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **მესუთ ბოზქირმა**, საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილემ **ჰუსეინ ოზდემირმა**.

**ნოდარ გრიგალაშვილმა** ქართული ანდაზა შეახსენა სტუმრებს და აქციის ორგანიზატორებს: მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება. „ეს მადლის საღამოა. რაც უფრო ხშირად გაიმართება ასეთი აქციები, მით უფრო მეტი გაჭირვებული ოჯახი მიიღებს დახმარებას, ხოლო შეძლებულ ადამიანებს საშუალება მიეცემათ, გასცენ და მოყვასს დაეხმარონ".

იმ დღეს მრავალი სუვენირი, ხალხური ნაკეთობანი, რეწვისა და ქსოვის საყოფაცხოვრებო ნივთი გაიყიდა. კიდევ ერთი კეთილი საქმე აღსრულდა.





**ნატა ნიბლაძე**

**მამუკა ალანიას ფოტო.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ჩიხშია

**პოლიტიკური დამბლა საქართველოში ჯერ კიდევ არ დაძლეულა. პროტესტის ესკალაციის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი ორშაბათს შეხვდა ოპოზიციის ოთხ ლიდერს.** მაგრამ არც ამან



გამოიწვია შინაპოლიტიკური კრიზისის მოგვარება. თავად პრეზიდენტის სიტყვებით, მან შესთავაზა ოპოზიციას სათავეში ჩაუდგეს საკონსტიტუციო რეფორმების მომზადებას, მაგრამ წინადადება უარყვეს. „სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ყველაფერი ცუდადაა, – აი მოლაპარაკების შედეგი“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტობის ექსკანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციური პარტიის „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერის ირაკლი ალასანიას აზრით, ის ფაქტი, რომ შეხვედრა საერთოდ გაიმართა, კარგია თავისთავად. სააკაშვილის ოპონენტებს თავიდანვე აერთიანებდა მხოლოდ კრიტიკა პრეზიდენტის მისამართით, რომელმაც შარშან ზაფხულის დასასრულს ქვეყანა ჩაითრია უპერსპექტივო ომში რუსეთის წინააღმდეგ და საქართველო გადააქცია ავტორიტარულ სახელმწიფოდ. ოპოზიციას არასოდეს ჰქონია საერთო პოლიტიკური იდეები. ახლა კი შეიმჩნევა განხეთქილება ტაქტიკურ საკითხებშიც.

**სონია ცეკრი**

Süddeutsche Zeitung

# პოლიტიკური დაპირისპირება საქართველოში შეიძლება ძალადობით დამთავრდეს

**ძალადობის საშიშროება საქართველოში იზრდება: უკვე ერთი თვეა გრძელდება პოლიტიკური დაპირისპირება პრეზიდენტსა, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს ხელისუფლება, და ოპოზიციას შორის, რომელსაც არ ჰყოფნის რიცხოვნობა და ერთიანობა, რათა გადააყენოს იგი.**

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელმეორედ აირჩიეს შარშან იანვარში, ეწინააღმდეგება ოპოზიციის მოთხოვნას – გადადგეს დემოკრატიული პრინციპების დაუცველობისა და დამანგრეველი ომის გამო რუსეთთან.

„ერთი მხრივ, ეს არის გაჭიანურებული და სერიოზული პრობლემა, რომლის უგულებელყოფაც არ შეიძლება, – აღნიშნა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა სვანტე კორნელიმ. – მაგრამ მეორე მხრივ, ეს პრობლემა არ არის იმ მასშტაბისა, რომ გამოიწვიოს ხელისუფლების შეცვლა. ასე რომ, აქ წარმოიქმნა ჩიხი“.

სააკაშვილის მოლაპარაკება ოპოზიციის ოთხ ლიდერთან ორშაბათს უშედეგოდ დამთავრდა. სააკაშვილმა შესთავაზა ერთობლივი რეფორმები, ოპოზიციამ კი მოითხოვა მისი გადაყენება.

ამჟამინდელი აქცია პროტესტისა არის პოლიციის მოთმინების გამოცდა, რომელმაც 2007 წელს დაშალა სააკაშვილის წინააღმდეგ მოწყობილი დემონსტრაცია რეზინის ხელკეტებით, ცემით და ცრემლსადენი გაზით, პისტოლეტის ლულის მიშვერით დაკეტა ოპოზიციური სატელევიზიო არხი, რითაც გაალიზიანა საქართველოს დასავლელი მომხრეები.

**მეტ რობინსონი**

REUTERS

## დედამიწის ზურგზე



**„ნოვაია გაზეტა“: ესპანეთში დაპატიმრებული რუსი მაფიოზები იყვნენ პუტინის „მეგობრების მეგობრები“**

გენადი პეტროვი, სავარაუდო ლიდერი ტამბოვის დანაშაულებრივი დაჯგუფებისა და მისი პარტნიორები იყვნენ ბანკ „როსიას“ თანამფლობელები. ეს ბანკი აერთიანებდა ვლადიმერ პუტინის ნაცნობებს. როგორც ამტკიცებენ, „ტამბოველებს“ ჰქონდათ კავშირურთიერთობა ბიზნესმენებთან, ჩინოვნიკებთან და სახელმწიფო კომპანიებთან.

* * *

**რუსეთი მეორედ აირჩიეს გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭოში, ამერიკის შეერთებული შტატები – პირველად**

რუსეთი ამ საბჭოში არის მისი შექმნის დღიდან, ანუ 2006 წლიდან, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი კანდიდატურა პირველად წამოაყენა. ჯორჯ ბუშის წინა ადმინისტრაცია უარს ამბობდა ადამიანთა უფლებების საბჭოსთან თანამშრომლობაზე, აკრიტიკებდა მას წამებისთვის, ერაყში ომისა და სიკვდილის დასჯისთვის.

* * *



**ცისფერი ბრილიანტი გაიყიდა რეკორდულ – 9,5 მილიონ დოლარად**

ქვა მართკუთხედის ფორმისაა და უიშვიათესი შემთხვევაა საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე წელს. ბრილიანტი იყიდეს ჟენევაში აუქციონზე მას შემდეგ, რაც 15 წუთის განმავლობაში ორი პიროვნება აღელვებული ასახელებდა ფასს. მისი ახალი მფლობელი უცნობია, მაგრამ უნიკალურ ქვას სახელს მიანიჭებს სწორედ იგი.

* * *

**ფიდელ კასტრომ ბრალი დასდო მექსიკის ხელისუფლებას: მან სპეციალურად დაფარა ინფორმაცია ეპიდემიის შესახებ, რათა არ გადაიდოს ობამას ვიზიტი**

კუბის ლიდერი ასეთი ვერსიით გამოვიდა საგაზეო სტატიაში. მექსიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ იჩქარა უარეყო ბრალდება პრესკონფერენციაზე. „ჩვენ არასოდეს დაგვიმალავს ეს“. უფრო დეტალური მოხსენება რეალურ მდგომარეობაზე არავის და არასოდეს წარმოუდგენია ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში, განაცხადა მინისტრმა.

* * *

**ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ცუდი სიზმრები შეიძლება სასარგებლო იყოს ადამიანისთვის**

მკვლევართა აზრით, ცუდი სიზმრები ჩვეულებრივად გამოწვეულია მთელი დღის განმავლობაში განცდილი ემოციებისგან და საშუალებას იძლევიან ძილის დროს ყველაფერი მოვიყვანოთ წესრიგში. ძალიან ხშირად ადამიანი ცუდ სიზმრებს ხედავს განთიადისთვის, ეგრეთ წოდებულ „სწრაფი ძილის“ ფაზაში.

* * *

**იაპონიის ტელეარხის კორესპონდენტმა მოინახულა სამხრეთ კურილიის კუნძულები რუსეთის ვიზით: საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა პროტესტი**

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის მოქალაქეებისგან მოითხოვს, არ იმოგზაურონ სამხრეთ კურილიის კუნძულებზე რუსეთის ვიზებით და არ ურჩევს ისეთ საქმიანობას, რომელიც მოითხოვს დოკუმენტების გაფორმებას რუსეთის პროცედურების შესაბამისად, ვინაიდან, ტოკიოს აზრით, ეს ადასტურებს მოსკოვის სუვერენიტეტს ამ ტერიტორიაზე.

◎ მოვლენები და მოსაზრებები

# სად წავიღოთ დერივატივების კვადრილიონი?

**დღეს უკვე შეიძლება საუბარი მსოფლიო სიტუაციის იმ ფუნდამენტური ცვლილებების შესახებ, რომლებიც გრანდიოზულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია.**

**პირველი.** სავსებით ცხადია, რომ კრიზისი უბრალოდ კი არ მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება. რთული სიტუაციიდან გამოსვლის რეალური რეცეპტი არავის არ გააჩნია. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არავინ იცის იმ დერივატივების (რისგანმე წარმოებულის, რისამე პროდუქტისა), ფანტომური ფულის რეალური მოცულობის შესახებ, რომელიც უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში ვრცელდებოდა. ვირტუალური ფულის ამ უზარმაზარმა მასამ პრაქტიკულად დაბლოკა მსოფლიოს საფინანსო სისტემის ფუნქციონირება.

**მეორე პუნქტი, პოლიტიკური.** უკვე ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მცდელობის მიუხედავად – სათავეში ჩასდგომოდა მსოფლიოს – დღევანდელ ვითარებაში ამერიკას არ შეუძლია დამოუკიდებლად, მარტო მიიღოს გადაწყვეტილებები, იმოქმედოს, გავლენა მოახდინოს სიტუაციაზე. მან ანგარიში უნდა გაუწიოს დანარჩენ მსოფლიოს და, პირველ რიგში, ჩინეთს. ეს ნიშნავს, რომ XXI საუკუნე იქნება არა ამერიკის, არამედ, უფრო მეტად, ჩინეთის.

**მესამე პუნქტი, ძალიან არსებითი.** ევროპისთვის შექმნილი სიტუაცია ნიშნავს საბოლოო მარცხს „ლისაბონის სტრატეგიისა“, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის გაფართოებას და უნიფიკაციას, ანუ საერთო ნორმაზე გადაყვანას. არ გამოვიდა ევროპის მცდელობა – ემართა მსოფლიო ამერიკული ნიმუშით. ცხადია, „ლისაბონის სტრატეგიით“ შემდგომი სვლა დამღუპველი იქნება ევროპისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ ამიერიდან ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

**მეოთხე მომენტი.** იმის გათვალისწინებით, რომ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის არ მომხდარა არანაირი რეალური შეთანხმება, უნდა გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: ამჟამად მსოფლიო შედის ახალ ფაზაში, როდესაც პრეზიდენტი ობამა დაიცავს ამერიკის ინტერესებს პირდაპირი გაგებით. მაშასადამე, მოხდება დოლარის დევალვაცია. ზუსტად არ ვიცი, რა მოცულობით, თუმცა, ვფიქრობ, დაახლოებით 15-20 პროცენტით. ჩინეთისთვის, მაგალითად, ეს ნიშნავს მარტივ ამბავს: იგი დაკარგავს 20-25 პროცენტს თავისი დანაზოგებისა, რომლებიც ინახებოდა ამერიკულ ვალუტაში. ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ უახლოეს დროში, როგორც ზოგიერთი მეთვალყურე ვარაუდობს, ჩაიშლება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ინტერესები მათი სტრატეგიული ინტერესების დაუმთხვევლობის გამო.

ამჟამად საერთოდ ყველა წინა ალიანსი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

იმის გარდა, რომ მდგომარეობიდან გამოსვლის არანაირი რეცეპტი არ არსებობს, არის სხვა შებრკოლების ლოდი. არავის სურს იმის შეცნობა, რომ საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობათა მთელი სისტემა ჩაიშალა. ის რომ განახლდეს, და არა უბრალოდ აღდგეს, საჭიროა მსოფლიოს მართვის სტრუქტურის რადიკალური ცვლილებები. ესე იგი საჭიროა მსოფლიოს ახალი არქიტექტურა. მაგრამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მომხდარი ყოველივე გვიჩვენებს: ერთადერთი ზომები, რომელთა მიღების უნარიც აღმოაჩნდა ევროპას – ეს არის უკვე გაკოტრებული ბანკების დაფინანსების გაგრძელება. დიდი საინვესტიციო ბანკების ერთი წყება ერთ წელიწადში გაქრა არენიდან, დანარჩენები ჩვეულებრივ ბანკებად გადაიქცნენ. იმავდროულად გაკოტრდნენ მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ქვეყნები. მოხდა ისეთი მასშტაბის ცუნამი, რომ იფიქრო, თითქოს საკმარისი იქნებოდა გამოგვეძებნა ტრილიონი დოლარი და ყველაფერი გამოსწორდებაო, არასერიოზული იქნება. ეს შენი ტრილიონი – წვეთი იქნება ზღვაში, რაც ვერაფერსაც ვერ გადაწყვეტს.

განვითარებული ქვეყნების ლიდერები – ესაა იმ ადამიანთა კრება, რომლებმაც თავიანთი ხელით შექმნეს მთელი ეს კოშმარი. და გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ მათ შეუძლიათ ჩვენი ხსნა. ეს იგივეა, რომ ცეცხლის გამჩაღებლებს მიმართო თხოვნით – ჩააქრონ ხანძარი. საჭიროა მსოფლიოს ახალი ხედვა. საჭიროა ადამიანები, ვისაც შეუძლია დაინახოს მთელი მსოფლიო ახლებურად.

მე არ გამაჩნია კრიზისიდან გამოსვლის ზუსტი რეცეპტი. იგი რომ გასცე, ის მაინც უნდა იცოდე, რამდენია იგივე დერივატივები, რომლებსაც არ აქვთ რეალური შევსება მსოფლიოში. ჩემი გაანგარიშებით, საჭიროა სულ ცოტა ერთნახევარი კვადრილიონი (რიცხვი, რომელსაც აქვს 15 ნული) დოლარი. ანუ კვადრილიონი – ესაა ათასი ტრილიონი.

ასეთი ოდენობის ვირტუალური ფულის მასის მართვა შეუძლებელია გარკვეული დროით მისი რადიკალური გაყინვის გარეშე. ვთქვათ, 7-10 წლით. ეს ვირტუალური ფული, ჭუჭყიანი და სახიფათო, დაღუპავს სიტუაციის გაჯანსაღების ყველა მცდელობას. გადაწყვეტილება კი გაყინვის შესახებ ძალიან ბევრისთვის მეტად რადიკალურად გამოიყურება. ვფიქრობ, ისინი, ვისზეც არის დამოკიდებული ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ამას არ გააკეთებენ.

მაგრამ თუ მთელი მსოფლიო შეთანხმებულად არ მიიღებს რადიკალურ ზომებს, მთელი მსოფლიოს ეკონომიკა ჩავარდება დამბლაში და დაიწყება საყოველთაო დეპრესია.

დღევანდელ სიტუაციაში, თუ გავყვებით ხაზს, რომელსაც აქამდე მიჰყვებოდა ბარაკ ობამა, ვიმეორებ, ჩვენ მივალთ დოლარის დევალვაციასთან და დიდ ინფლაციასთან. გაკოტრებული ბანკების გადაფინანსება, მათ მიერ წარმოქმნილი ვალების გადახდა, ყოფილი „ფასიანი“ ქაღალდების შესყიდვა, რომლებსაც დღეს ფასი აღარ გააჩნიათ – აი, რა კეთდება დღეს.

რითი უნდა ავანაზღაუროთ ეს ყველაფერი? ახალი ფულით. როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? ავამუშაოთ საბეჭდი დაზგა. დაიბეჭდება ათეულობით ტრილიონი ახალი დოლარი. მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება, რომ თავი დაიცვან ევრომაც, იუანმაც, რუბლმაც, იენმაც. დაიწყება გიგანტური მასშტაბის საყოველთაო რეცესია და ინფლაცია.

იმის საფრთხე, რომ განმეორდება მეორე მსოფლიო ომის წინ შექმნილი ტრაგიკული სიტუაცია, ძალიან დიდია. საშიშროება რომ გავზომოთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი ვითარება. გავიხსენოთ, რომ, როცა დაიწყო რუზველტის დროინდელი დიდი დეპრესია, ამერიკა იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი კრედიტორი, ჰქონდა წარმოების მაღალი დონე და აწარმოებდა პროდუქციის ექსპორტს მთელს მსოფლიოში. ახლა კი ყველაფერი პირიქითაა. მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფო, რომელსაც აქვს ყველაზე ძლიერი სამხედრო სტრუქტურები – ყველაზე დიდი მევალეა. თანაც მას მთელი მსოფლიოს ვალი ადევს. და ეს ვალი ისეთი ოდენობისაა, რომ ამერიკას უბრალოდ არასოდეს არ შეუძლია მისი გასტუმრება.

ჩემი აზრით, დღევანდელი კრიზისი გაცილებით უფრო სერიოზულია წინაზე, რომელიც – არ უნდა დავივიწყოთ! – წინ უსწრებდა მეორე მსოფლიო ომს. მაშინ დეპრესია დაიწყო 1929 წელს და გაგრძელდა ათზე მეტი წელი. 1939 წელს დაიწყო ომი.

მოვიყვან ამერიკელი პროფესორის, ეკონომიკის დარგში 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის პოლ კრუგმანის სევდიან ფიქრებს, რომლებიც მან გამოთქვა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მსოფლიოს ოცი ყველაზე განვითარებული ქვეყნის ლიდერების ლონდონის შეხვედრის შედეგები: სამწუხაროდ, უკვე ცხადია, რომ წინ გველოდება დეპრესიის „ხანგრძლივი მტანჯველი წლები“.

ვშიშობ, სწორედ ეს პროგნოზი ახდება. ამისთვის უნდა ვემზადოთ.



**ჯულიეტო კიეზა,**
**პუბლიცისტი,**
**ევროპარლამენტის**
**დეპუტატი**

Литературная газета

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის *15 ივნისს 11 საათზე* ქ. რუსთავში, კოსტავას გამზ. № 36 (რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობა), ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის სააღსრულებო ფურცლის (№ 3/8 საქმე) საფუძველზე, შპს „საშენი მასალების" (სნ 225379505) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.**

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:

*1. კირის გამოსაწვავი ღუმელი, მთლიანი ღირებულება–16500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარი.*

***სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი აღნიშნული ქონების საწყისი ფასი შეადგენს 16500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარს.***

ქონება მდებარეობს მისამართზე: *ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი.*

*მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).*

*აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.*

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციასთან) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) შემდეგ ტელეფონის ნომერზე: *822 26-21-15.* ფაქსი: *822 26-21-15. მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. № 36.*

**2.**

რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის *15 ივნისს 14 საათზე* ქ. რუსთავში, კოსტავას გამზ. № 36 (რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობა), გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის სააღსრულებლო ფურცლის (№3-34-08 საქმე) საფუძველზე, შ.პ.ს. „ბოსტანთესლი"-ს (ს.ნ. 226521109, მისამართი: გარდაბნის რაიონი, ვახტანგისი) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს ღია აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის მოძრავი და უძრავი ქონება მიწის გარეშე: 1) საძროხე 15 სულზე (1085 კვ.მ.) – მთლიანი ღირებულებით 5425 ლარი. 2) მარცვლეულის საწყობი (306კვ.მ.) – მთლიანი ღირებულებით 15300 ლარი. 3) მინერალური სასუქების საწყობი (525.1კვ.მ) – მთლიანი ღირებულებით 5251 ლარი. 4) სპეციალისტების სახლი (336კვ.მ) – მთლიანი ღირებულებით 33600 ლარი. 5) სარემონტო სახელოსნო (307.2კვ.მ) – მთლიანი ღირებულებით 6144 ლარი. 6) ხახვის საშრობი ხის ბადით (1872კვ.მ) – მთლიანი ღირებულებით 56160 ლარი. 7) საძროხე 220 სულზე (1362.3 კვ.მ) – მთლიანი ღირებულებით 20434.5 ლარი. 8) ფარდული №8 ხის (161კვ.მ) - მთლიანი ღირებულებით 4830 ლარი. 9) თესლის გამწმენდი საწყობი (114.8კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 5740 ლარი. 10) ფარდული სასამ. მანქანებისათვის (856კვ.მ.) მთლიანი ღირებულებით – 17120 ლარი; 11) 2-განყოფილებიანი ფარდული (122.4 კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 4896 ლარი; 12) №6 ფარდული (204 კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 8160 ლარი; 13) მინერალური სასუქების საწყობი (304.6 კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 9138 ლარი; 14) საკვები საამქრო (257.3 კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 3859.5 ლარი; 15) ნავთობპროდუქტების საწყობი (89.7კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 3588 ლარი; 16)ფარდული საქონლისათვის ხის მთლიანი ღირებულებით – 8000 ლარი; 17) 2 ცალი სახანძრო რეზერვუარი მთლიანი ღირებულებით – 300 ლარი; 18) ფარდული №5 სასოფლო კლუბი (512 კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 12800 ლარი; 19) შხამქიმიკატების ჯიხური (29.5 კვ.მ) მთლიანი ღირებულებით 885 ლარი; 20) საყოფაცხოვრებო ობიექტი (72.25კვ.მ) მთლიანი ღირებულებით 2167.5 ლარი; 21) თესლის საწყობი, თესლის გადამამუშავებელი საამქრო, თესლის გასაშრობი ფარდული ხის ბადით (1101.6 კვ.მ) მთლიანი ღირებულებით – 27540 ლარი; 22) წყლის ტევადობა 1 ცალი, ღირებულებით – 5000 ლარი; 23) საწვავის გასამართი პუნქტი 1 ცალი, ღირებულებით – 25000 ლარი; 24) თესლის გამწმენდი მანქანა 1 ცალი, ღირებულებით – 1200 ლარი; 25) მარცვლის დამტვირთავი 1 ცალი, ღირებულებით – 2300 ლარი; 26) რეზერვუარი 25ტ. 1 ცალი, ღირებულებით – 5000 ლარი; 27) თესლის გამწმენდი 1 ცალი, ღირებულებით – 1200 ლარი; 28) პროდუქციის გადასამუშავებელი მანქანა 1 ცალი, ღირებულებით – 2100 ლარი; 29) კონვეიერი ედკ-2 1 ცალი, ღირებულებით – 2400 ლარი; 30) ა/მ სასწორი „რ1-30" 1 ცალი, ღირებულებით – 18000 ლარი; 31) სასწორი 30ტ. 1 ცალი, ღირებულებით – 18000 ლარი; 32) ა/მ სასწორი 1 ცალი, ღირებულებით – 5000 ლარი; 33) ა/მ გაზ 52 №69-95 1 ცალი, ღირებულებით – 700 ლარი; 34) ა/მ გაზ 52 №70-79 1 ცალი, ღირებულებით – 1000 ლარი; 35) ა/მ გაზ 52 №76-03 1 ცალი, ღირებულებით – 500 ლარი; 36) ა/მ გაზ 52 №81-55 1 ცალი, ღირებულებით – 600 ლარი; 37) ა/მ გაზ 52 №11-70 1 ცალი, ღირებულებით – 500 ლარი; 38) ა/მ გაზ 52 №54-77 1 ცალი, ღირებულებით – 700 ლარი; 39) ა/მ გაზ 52 №18-56 1 ცალი, ღირებულებით – 500 ლარი; 40) ა/მ გაზ 53 №22-90 1 ცალი, ღირებულებით – 1500 ლარი; 41) ა/მ გაზ 53 №41-53 1 ცალი, მთლიანი ღირებულებით – 300 ლარი; 42) ა/მ გაზ 53 №15-54 1 ცალი, ღირებულებით – 1500 ლარი; 43) ა/მ გაზ 53 №43-22 1 ცალი, ღირებულებით – 2000 ლარი; 44) ა/მ გაზ 53 №46-77 1 ცალი, ღირებულებით – 2000 ლარი; 45) ა/მ მმზ 554 №12-68 1 ცალი, ღირებულებით – 900 ლარი; 46) ა/მ ზილ 130 №46-78 1 ცალი, ღირებულებით – 1300 ლარი; 47) ა/მ გაზ 53 №94-57 1 ცალი, ღირებულებით – 700 ლარი; 48) ა/მ გაზ 53 №67-42 1 ცალი, ღირებულებით – 2000 ლარი; 49) ა/მ გაზ 53 №95-68 1 ცალი, ღირებულებით – 1200 ლარი; 50) ტრაქტორი მტზ80 1 ცალი, ღირებულებით – 3000 ლარი; 51) ტრაქტორი მტზ80 1 ცალი, ღირებულებით – 3000 ლარი; 52) ტრაქტორი მტზ80 1 ცალი, ღირებულებით – 500 ლარი; 53) ტრაქტორი მტზ-80 1 ცალი, ღირებულებით – 1500 ლარი; 54) ტრაქტორი მტზ-80 1 ცალი, ღირებულებით – 2000 ლარი; 55) ტრაქტორი მტზ-80 1 ცალი, ღირებულებით – 2000 ლარი; 56) ტრაქტორი ტ150 1 ცალი, ღირებულებით – 4000 ლარი; 57) ტრაქტორი ტ16 1 ცალი, ღირებულებით – 3000 ლარი; 58) ტრაქტორი მტზ80 1 ცალი, ღირებულებით – 3000 ლარი; 59) ტრაქტორი მტზ80 1 ცალი, ღირებულებით – 900 ლარი; 60) ტრაქტორი მტზ 80 1 ცალი, ღირებულებით – 1500 ლარი; 61) ტრაქტორი მტზ80 1 ცალი ღირებულებით – 800 ლარი; 62) ტრაქტორი მტზ 80 1 ცალი, ღირებულებით – 1000 ლარი; 63) ტრაქტორი 1623– 1 ცალი, ღირებულებით 500 ლარი; 64) ტრაქტორის მისაბმელი 10 ცალი, ერთის ღირებულება 400 ლარი; 65) კომბაინ „ნივა" 1 ცალი ღირებულებით – 5000 ლარი; 66) კომბაინ „ნივა" 1 ცალი ღირებულებით – 6500 ლარი; 67) თესლის დამტვირთი 1 ცალი, ღირებულებით – 1000 ლარი; 68) სასილოსე კომბაინი 1 ცალი, ღირებულებით – 500 ლარი; 69) კომბაინი „სამპო" 1 ცალი, ღირებულებით – 1000 ლარი.

***სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი აღნიშნული ქონების საწყისი ფასი შეადგენს 399138.5 (სამასოთხმოცდაცხრამეტი ათას ასოცდათვრამეტი) ლარს.***

ქონება მდებარეობს მისამართზე: *გარდაბნის რაიონი, სოფელი ვახტანგისი.*

*მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).*

*აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.*

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციასთან) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) შემდეგ ტელეფონის ნომერზე: *822 26-21-15.* ფაქსი: *822 26-21-15. მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. № 36.*

***3.***

რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის *15 ივნისს 16 საათზე,* ქ. რუსთავში, კოსტავას გამზ. № 36 (რუსთავის რეგიონალური ცენტრი საგადასახადო ინსპექციის შენობა), თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ნოემბრის სააღსრულებლო ფურცლის (№3ბ/1625-06 საქმე) საფუძველზე, ს.ს "ქვემო-ქართლი"-ს (სნ. 234160822) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს ღია აუქციონს.

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:

*1. ადმინისტრაციული შენობა 579,60 კვ.მ. მთლიანი ღირებულება–17388 (ჩვიდმეტიათას სამასოთხმოცდარვა) ლარი. 2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (1500 კვ.მ.) მთლიანი ღირებულებით – 15000 (თხუთმეტი ათას) ლარს.*

***სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი აღნიშნული ქონების საწყისი ფასი შეადგენს 32388 (ოცდათორმეტი ათას სამასოთხმოცდარვა) ლარს.***

ქონება მდებარეობს მისამართზე: *ქ.მარნეული, აღმაშენებლის ქუჩა № 4*

*მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის რეგინალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას).*

*აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.*

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციასთან) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) შემდეგ ნომერზე: *822 26-21-15.* ფაქსი: *822 26-21-15. მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. № 36.***

## არბიტრაჟის უწყება

### საქმე №6-2009

**თქვენ, გიორგი ელაშვილს, მცხოვრებს თბილისში, ირ. აბაშიძის №37, გიბარებთ მოპასუხის სახით 2009 წლის 1 ივნისს, 15.00 სთ-ზე, საქმეზე შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორის" საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო გიორგი ელაშვილის მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ, მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №50, მე-2 სართული.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

**„კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გამო მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას არბიტრაჟის მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.**

**საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების 9.15 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 9.3-9.10 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება დასწრების გარეშე.**

**თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს კონკურსს აკადემიურ პროგრამებზე ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და პროფესიულ პროგრამებზე მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად.**

**კონკურსის პირობები განთავსებულია კონსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.conservatoire.edu.ge**

**საბუთების შემოტანის ვადაა 2009 წლის 14 მაისი – 14 ივნისი. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ კონსერვატორიის საერთო განყოფილებას – 93-52-28.**

**რეკლამა**

***კოსტავას 12***

***„საქართველოს რესპუბლიკაში"***

**98-65-87;**

**899 32-85-76.**

სამბო

## კატნაკლული გუნდით — ევროპის დასალაშქრად



**დღეს მილანში იწყება სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები რვა კაცის შემადგენლობით ჩაებმება.** წონითი კატეგორიების მიხედვით მედლებისთვის იბრძოლებენ უშანგი კუზანაშვილი (52 კგ), ავთანდილ ცინცაძე (57), დავით სვიმონიშვილი (62), გელა სანიკიძე (68), კახა მამულაშვილი (74), გიორგი ბაინდურაშვილი (82), მინდია ბოდაველი (90 და ვახტანგ ზოიძე (მძიმე წონა). იტალიაში ვერ გაემგზავრა შარშანდელი ევროპის ჩემპიონი მირიან პავლიაშვილი (100, რომელმაც საწვრთნელ შეკრებაზე მუხლის ტრავმა მიიღო. დროის სიმცირის გამო, შემცვლელისთვის ვიზის გაფორმება ვერ მოესწრო.

შარშანწინ ჩვენმა სამბისტებმა ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი (კუზანაშვილი, სვიმონიშვილი, ბოდაველი) დაიმსახურეს, ხოლო შარშან თბილისში მსგავს შეჯიბრებაზე ორ „ოქროს“ (ლევან წიკლაური, პავლიაშვილი) დასჯერდნენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძის განცხადებით, ჩვენი ბიჭები იტალიაში 4-5 მედლის მოპოვებას შეეცდებიან, საიდანაც, ალბათ, ორი უმაღლესი სინჯისა იქნება.

**გიორგი გაგუა**

ფეხბურთი

## მშვიდობით, ბუნდესლიგა!

**გერმანიის ჩემპიონატის ფინიშამდე ორი ტური დარჩენილი, თუმცა ალექსანდრე იაშვილის კლუბის „კარლსრუეს“ ქომაგებს უკვე შეგვიძლია მივუსამძიმროთ ბუნდესლიგასთან გამოთხოვება. ელიტაში ადგილის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი ქართველი ლეგიონერის პარტნიორებმა XXXII ტურში დაკარგეს, როცა შინ 2:0-ის შემდეგ 2:3 დამარცხდნენ „ჰანოვერთან“. სხვათა შორის, ამ მატჩში ანგარიში სწორედ ჩვენებურმა გახსნა, მაგრამ...**



რაც შეეხება ლიდერთა ჯგუფს, იქ ისეთი ბრძოლაა გაჩაღებული, დედა შვილს არ აიყვანს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფელიქს მაგათის გაწვრთნილი „ვოლფსბურგის“ აღზევება, რომელმაც ხელთათმანი თვით მიუნხენის „ბაიერნს“ სტყორცნა და მასთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს 63-63 ქულით. ამჯერად, საკუთარ მინდორზე ორივემ ერთნაირი ანგარიშით — 3:0 სძლია უხერხულ მეტოქეებს, შესაბამისად, დორტმუნდის „ბორუსიასა“ და „ლევერკუზენს“. ალბათ დაგაინტერესებთ კონცერნ „ფოლკსვაგენის“ ყოვლისშემძლე ფრთას შეფარებული გუნდის წლევანდელი წარმატების საიდუმლო. ესაა ბრაზილიელი გრაფიტესა და ბოსნიელი ძეკოს მოიერიშე ტანდემი, რომელმაც უკვე 46 (!) გოლი გაიტანა (შესაბამისად — 24 და 22).

„ოქროს“ კიდევ ერთმა მაძიებელმა ბერლინის „ჰერტამ“ სტუმრად მოკრძალებული გამარჯვება იკმარა „კიოლნთან“ — 2:1 და წამყვან დუეტს 1 ქულით ჩამორჩება.

**გია პლატონიშვილი**

კრივი

## კაუნასის რინგზე

**ლიტვაში მოკრივეთა A კლასის საერთაშორისო ტურნირზე 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. საქართველოს ნაკრები ახალი მწვრთნელის — რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით შეჯიბრებაზე 5 სპორტსმენით წარსდგება.** კაუნასის რინგზე ძალებს გამოცდიან მინდია ჭინჭარაული (57კგ), კობა ფხაკაძე (60), ზაალ კვაჭატაძე (64), კახა ქვანია (69 და თამაზ ლაშხი (მძიმე წონა). ქართველი მოკრივეები წლის უმთავრესი პაექრობის — მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. პლანეტის უძლიერეს სპორტსმენებს 28 აგვისტოდან მილანი უმასპინძლებს.



**ლექსო ცინცაძე**

ფარიკაობა

## „ოქრო“ ვერ გავიმეტეთ

**ქუთაისში მეხუთედ გაიმართა გალაქტიონ ჩიქოვანის სახელობის ახალგაზრდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველ მუშკეტერებთან ერთად სომეხი და აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.** პირველ ადგილებზე გავიდნენ: **ხმლით** — გიორგი გიორგაძე (ქუთაისი) და თათია აფციაური (თბილისი), **რაპირით** — სანდრო სიხარულიძე (თბილისი) და მერი გოქაძე (ქუთაისი), **დაშნით** — გიორგი ქაფიანიძე (რუსთავი) და ხატია ლელაძე (ქუთაისი). სტუმრებმა ერთი მეორე და ექვსი მესამე ადგილი დაიკავეს.



კარატე

## სომხური „ვერცხლი“



**ახლახან ერევანში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კარატეში, რომელშიც ჩვენი ოთხი თანამემამულეც მონაწილეობდა.**

მათგან ორი ვერცხლის პრიზიორი გახდა. ესენი არიან ბაჩო გოჯიაშვილი (6-7 წლის მოზარდები, +30 კგ, კლუბი „შოტოკანი“, უფროსი ინსტრუქტორი ჭაბუკა მახარაძე) და ლევან გელდიაშვილი (უფროსები, — 68 კგ, კლუბი „სოდანი“, უფროსი ინსტრუქტორი ავთანდილ ჭუმბურიძე).

აღსანიშნავია, რომ ასეთ წარმატებას ქართველმა სპორტსმენებმა სხვადასხვა ქვეყნის 500 წარმომადგენელთან ბრძოლაში მიაღწიეს.

**გიორგი შოთაძე**

**სურათზე: ოსტატი და შეგირდი — ბაჩო გოჯიაშვილი და ჭაბუკა მახარაძე.**

ინტერნეტიდან

### აბრეშუმის გზით

**გუშინ ულან-ბატორში სტარტი აიღო ცნობილი რუსი მოგზაურის თევდორე კონიუხოვის ექსპედიციამ „დიდი აბრეშუმის გზის კვალდაკვალ-2009“.** ექსპედიციის სიგრძე ელისტაში ფინიშით 6392 კილომეტრია. ვარაუდობენ, რომ ამ გზას 172 დღე დასჭირდება.



ალბათ თევდორე კონიუხოვი ელისტაში 31 ოქტომბერს ჩავა.

### ბოიკოტი შედგება?

**მსოფლიოს წამყვანი მძლეოსნები აპირებენ „ოქროს ლიგის“ პირველი ეტაპის ბოიკოტს ბერლინში, 14 ივნისს.**

ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ არ აანაზღაურებენ ვარსკვლავების გამოსვლებს და ეს ჩვეულებრივ პრაქტიკად მიაჩნიათ ასეთი დონის ტურნირების დროს.

ბერლინის ტურნირის დირექტორის განცხადებით, შეჯიბრებას ბიუჯეტი შეუმცირეს, რის გამოც ათლეტებისთვის ფულის გადახდას საფრთხე დაემუქრა.

უნდა ითქვას, რომ ბოიკოტის შემთხვევაში, სპორტსმენები მონაწილეობას ვერ მიიღებენ „ოქროს ლიგის“ ტრადიციული ჯეკ-პოტის გათამაშებაში. ის კი მილიონ დოლარს შეადგენს.

### ფელპსის სასიყვარულო მარათონი

**ალბათ გახსოვთ, 14 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი მაიკლ ფელპსი, დისკვალიფიკაცირებული რომ იყო მარიხუანასთან „გათამაშებისთვის“, ორი თვის შემდეგ ვარჯიშებს დაუბრუნდა.**

თუმცა ახლა უკვე სახელოვანმა მოცურავემ, როგორც ჩანს, სხვა „გასართობი“ ნახა.

როგორც ბალტიმორელმა სტრიპტიზიორმა ტერეზა უაიტმა პრესას განუცხადა, ის კიდევ ერთ ქალიშვილთან ერთად დროს ატარებდა მაიკლ ფელპსთან.

— ჩვენ ცოტა დავლიეთ, — განაცხადა ქალიშვილმა, — შემდეგ კიდევ და კიდევ. ფელპსმა განაცხადა, რომ უყვარს პატარა გოგონები, — ეს ხომ სასაცილოა, ის ხომ ძალზე მაღალია. ქალიშვილის თქმით, დანარჩენი, როგორც ბურუსში მოხდა, რაც სამ საათამდე გაგრძელდა. და რომ მაიკლმა კიდევ ერთი ოლიმპიური მედალი დაიმსახურა სასიყვარულო მარათონისთვის.



ავტორბოლა

## „ფერარი“ „ფორმულას“ ტოვებს?

**ავტორბოლის მოყვარულებისთვის ძალზე არასასიამოვნო ცნობა გავრცელდა — ავტოსაჯინიბო „ფერარი“ ალბათ მონაწილეობას არ მიიღებს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, თუ კი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) უარს არ იტყვის თავის ამასწინანდელ გადაწყვეტილებაზე.**

ამ ცოტა ხნის წინათ ფედერაციამ დაადგინა, რომ ჩემპიონატში მონაწილეებს შეეზღუდებათ ბიუჯეტი 40 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. სამაგიეროდ მიეცემათ დიდი ტექნიკური თავისუფლება. ამ თანხაში არ უნდა შევიდეს პილოტების ხელფასი და ხარჯები ძრავებისთვის.



ამ წესების დამრღვევებისთვის გუნდებს მკაცრი ტექნიკური შეზღუდვებიც ემუქრებათ.

ასეთი სიახლის გამო თავიანთი უკმაყოფილება გამოთქვეს „რედ ბულმა“ და „ტოიოტამ“.

ფედერაციამ განცხადების შესატანად უკანასკნელ ვადად 29 მაისი დააწესა.

შოთა ნიშნიანიძე — 80

# „უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის — ვულკანზე შემდგარი საქართველო“

შოთა ნიშნიანიძე სივრცეებიდან მოვიდა და სივრცეებშივე იპოვა ნავთსაყუდელი. იგი სამშობლოს ხმაა, ჩვენთვის მუდამ ახალი სიტყვის სათქმელად მოვლენილი: მისანი ხარი-წიქარა, მსახურებისა და ერთგულების ნიშნით დაღდასმული.

80 წლის პოეტი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიხსენეს. საქართველოს მწერალთა ეროვნულმა კავშირმა სათანადო პატივი მიაგო ქართველი ერის საყვარელ პოეტს. საღამოს უძღვებოდა მწერალთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი.

— შოთა ნიშნიანიძე ჩემთვის გამოსახმობი არ არის ხსოვნის ნისლეულიდან, — აღნიშნა ბატონმა რევაზ მიშველაძემ, — იგი ყოველ წუთსა და საათს ჩემთანაა — მთელს საქართველოს აღვიძებს და აფხიზლებს ბრძნეული პოეზიით. ამიტომაცაა თითოეულ თქვენგანთან, როგორც საქართველოს გამღვიძებელი და ფეხზე დამყენებელი.

რევაზ მიშველაძის თქმით, შოთა ნიშნიანიძემ ქართველი კაცის დაუჩოქებელი ბუნება ვაჟკაცურად, ლამაზად, მაღალმხატვრულად და ოპტიმისტურად ასახა.

ბატონმა გიორგი გაჩეჩილაძემ შოთა ნიშნიანიძეს მოვლენა უწოდა. გალაკტიონისა და გოგლა ლეონიძის შემდეგ ქართულ პოეზიაში გაჩენილი ვაკუუმი სწორედ მან შეავსოო: ბრძენი და გონიერი შოთა ნიშნიანიძე ცდილობდა საკუთარი თავი სხვისი თვალით დაენახა სარკეში და სარკისებური მე დაენახვებინა ქართველი ერისთვის. ილიას აზრი: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი“, — ყველაზე ღირსეულად შოთა ნიშნიანიძემ, როგორც ხარმა წიქარამ ატარა. იგი მარადისობაში იმიტომ რჩება, რომ ქართველი ხალხი, ილიას, აკაკის, ვაჟას მსგავსად, შეცდომებზე დააფიქრა და სარკეში ჩაახედა. იგი წინასწარმეტყველი იყო, და თითქოს ახლაც გვეზუბუნება მარადისობიდან:

„უფალო, დაიფარე
გოდოლი ბაბილონის,
ვულკანზე შემდგარი
საქართველო“.

იმ საღამოს დიდი კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილმა



კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიამ დასძინა, უხილავ ტაძარში ვიმყოფებით, რომელსაც პოეზია ჰქვიაო. მაშინ როდესაც ქვეყანა რევოლუციების ინსტიტუტად გადავაქციეთ, პოეზია წაგვაღგება იმ ბრძოლაში, მთელი ქართველი ხალხი რომ ეწევაო.

ძალიან დიდი სინათლე და მასშტაბურობა გამოარჩევს შოთა ნიშნიანიძესო. კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი პოეტის მთაწმინდის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში გადასვენების საკითხი დააყენა, რასაც დარბაზი ტაშით შეეგება.

ერეკლე საღლიანმა გაიხსენა მოსკოვში საოპერაციოდ გამგზავრებული პოეტი. 90-იანი წლები და დაძაბული ვითარება იყო, არცთუ კარგი განწყობა რუსეთისადმი... და გულმოსულ რუს ექიმს მისთვის უთქვამს: ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ყოველ ქართველს საოპერაციო მაგიდაზე დავტოვებდიო!

ღირსებაშელახულმა შოთა ნიშნიანიძემ უარი განაცხადა ოპერაციაზე და სამშობლოში დაბრუნდა. მალევე გარდაიცვალა. ვინ იცის, ეს ამბავი რომ არ მომხდარიყო, იგი იქნება დღესაც ცოცხალი ყოფილიყო...

იმ საღამოს ყველა გამომსვლელი პოეტის სიყვარულს შთაეგონებინა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ: ვაჟა ოთარაშვილი, დავით შემოქმედელი, ზაალ ბოტკოველი, გიორგი გიგაური, თენგიზ სვანიძე, დიმა ჯაიანი, მურმან ჯინორია, ელდინო საღარაძე, ზურაბ ცინცქილაძე, დავით გველესიანი... ბავშვთა ანსამბლი „საგალობელი“, ანსამბლი „ჭონა“.

შოთა ნიშნიანიძის შვილმა — ნათია ნიშნიანიძემ მადლობა გადაუხადა ყველას პოეტის დაფასებისთვის.

სცენას კი პოეტის მეუღლის — თამარ ჩიჯავაძის სიყვარულის ხალიჩა ამშვენებდა. ყველაზე ბედნიერმა და სევდიანმა ქალბატონმა თურმე მეუღლის ჰალსტუხებით შეკერა ეს ფარდაგი და ასე ეფერება ყოველდღე საყვარელ ადამიანს... ასე უფრთხილდება ხსოვნას ადამიანისას, ვინც უკვე მარადისობას, მთელ ქართველ ერს ეკუთვნის...

**თამარ შაიშმელაშვილი**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# ტყუილუბრალოდ არ ამოუკვნესია ვანო სარაჯიშვილს: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“

**ჩვენი გაზეთის 17 აპრილის ნომერში (თუ წაიკითხეთძ გულისტკივილით მიამბობდა გელა ქოქიაშვილი — ძირძველი სიღნაღელი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი — თუ რა სამარცხვინო საქმე მოუვიდათ სიღნაღელებს, უფრო სწორად, სიღნაღის ძველ გამგებელს, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, ვანო სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმის შენობა კომპანია „ავერსს“ მიჰყიდა და კაცმა არ იცის სად ინახება მუზეუმის ექსპონატები.** ამ პუბლიკაციიდან თითქმის თვე გავიდა და ჩამიჩუმი არ ისმის, არც კულტურის სამინისტროდან, არც სიღნაღის გამგეობიდან. სულ მალე, ჩვენი პუბლიკაცია „საქართველოს რესპუბლიკაში“, ერთგვარად „გაამაგრა“ ცნობილმა მუსიკათმცოდნემ ბატონმა გულბათ ტორაძემ ვანო სარაჯიშვილის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში, სადაც იგი გულისწყრომას (სავსებით სამართლიანადძ ვერ მალავდა სახლ-მუზეუმის გაყიდვის გამო.

ამას არ დასჯერებია ბატონი გულბათი, როგორც მეორე დღეს რედაქციაში გვიამბო, მას უსაუბრია კულტურის სამინისტროს თანამშრომელთან, ქალბატონ ინგა ქარაიასთან, რომელსაც დაურეკავს სიღნაღის გამგეობის კულტურის სამსახურში. იქაურებს დაუდასტურებიათ, მართლაც, ვ. სარაჯიშვილის მუზეუმის შენობა ერთი წელია გაყიდულიაო, მერე რა მოხდა, იქ ხომ ვანოს არასდროს უცხოვრიაო?! ექსპონატები კი დროებით დაცულია სანდრო მირიანაშვილის ბინა-მუზეუმშიო... ამჟამად, ვეძებთ შესაფერის შენობას მუზეუმისთვის! რა არის აქ საგანგაშოო?!

ყოჩაღ, სიღნაღის რაიონის ხელისუფალნო!

თქვე კაი ხალხო, განა არ ჯობდა, თუკი ასე აუცილებელი იყო „საქართველოს ბულბულის“ მუზეუმის გაყიდვა, წინასწარ მოძიებულიყო მისთვის ახალი შესაფერისი შენობა?! თუმცა, ვინ მოიძევდა? ინგა ქარაიას თქმით, თურმე, საქართველოს კულტურის სამინისტრო ვერ აკონტროლებს სიღნაღის გამგეობის კულტურის სამსახურის მოქმედებებს!

რა გასაკვირია, ერთი ცნობილი პოეტის თქმისა არ იყოს, ქვეყანაში, სადაც არავინ იცის, ვისი ვიოლინო, ვის როიალშია, ასეთი პარადოქსებიც გვხვდება. ეტყობა, ტყუილუბრალოდ არ ამოუკვნესია საქართველოს უპირველეს მომღერალს — „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!“

**ვილენ მარდალეიშვილი**

მოთხოვნა

# ნარაზენელები მიწების საიდუმლოდ გაყიდვას აპროტესტებენ

ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის (საბეჭვაიოს უბნისძ მცხოვრებლებმა მიმართვის წერილი გაუგზავნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს ზაზა გოროზიას და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ალექსანდრე ქობალიას: „მიმდინარე წლის 1 აპრილს, ჩვენი ნების გარეშე, ჩვენივე საცხოვრებელი კარ-მიდამოების მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ხარობდა ჩაის კულტურა, შემოვიდა ინვესტორის ტრაქტორი, რომელმაც ამოძირკვა ჩაის ბუჩქები. ღელის პირას უმოწყალოდ გაანადგურეს მწვანე სიცოცხლე. მოსახლეობამ დროებით შევაჩერეთ ეს ვანდალიზმი. ჩვენი მიწების შესყიდვა ჩვენვე გვინდა ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია მიწები საძოვრებისთვის, რადგან ჩვენი მოსახლეობა ძირითადად თავს მესაქონლეობით ირჩენს. მიწები გაიყიდა სრულიად საიდუმლოდ, ჩვენი გვერდის ავლით და თავს დაგვადგა ვინმე **რუზგენ ნარსია,** რომელიც ინვესტორის ინტერესებს იცავს და გვედავება „როგორც მესაკუთრე“, — ნათქვამია წერილში, **რომელსაც ხელს აწერს 51 ნარაზენელი.**

მომჩივანთა განცხადებით, მათთვის გაურკვეველია როგორ მოახერხა ამ მიწების ხელში ჩაგდება რუზგენ ნარსიამ. ამის შესახებ არაფერი იცოდა არც სოფლის რწმუნებულმა მამუკა თოდუამ. მათთვის ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ეს მიწები — დაახლოებით 55 ჰა. იჯარით ჰქონდა აღებული მათ მეზობელს რევაზ ბეჭვაიას და გაკოტრების გამო გადაუცია რუზგენ ნარსიასთვის.

ნარაზენელები აღშფოთებულნი არიან იმის გამოც, რომ მათ ადგილობრივ ხელისუფლებას რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით, რომ ეს მიწები მათთვის გადაეცათ, მაგრამ ხელისუფლებამ მათი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. „ჩვენ გვითხრეს, რომ ამ მიწებზე ჩაი ხარობს და მისი მოჭრა არ შეიძლებაო, თუ ჩვენთვის არ შეიძლებოდა, რატომ ჭრის ახლა ჩაის ბუჩქებს ნარსია? რატომ გვაყენებენ ასეთ მძიმე მდგომარეობაში? რატომ გვალიზიანებენ? რატომ გვტოვებენ საძოვრების გარეშე?“ — აცხადებს ნარაზენელი ბორის ბეჭვაია.

ნარაზენელების მოთხოვნაა, რომ მიწები ჩამოერთვას რუზგენ ნარსიას და გადაეცეს მოსახლეობას გამოსყიდვის უფლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ მისცემენ რუზგენ ნარსიას მუშაობის უფლებას. გუბერნიიდან და გამგეობიდან, ნარაზენელებს ჯერ პასუხი არ მიუღიათ. თუმცა, არის მინიშნებები, რომ ეს საკითხი სასამართლოს გასარჩევი გახდება.

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდი**

წარდგინება

# გორელებმა ოთარ ჩხეიძე გაიხსენეს

**ტრადიციად დამკვიდრდა: გამოჩენილი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის მოგონების დღეს მის მშობლიურ გორსა და სოფელ ყელქცეულში, 6 მაისს, წმინდა გიორგის დღეს აღნიშნავენ. წელსაც ასე იყო.**

გორის სამუსიკო სასწავლებელში კვლავ შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრივ-მხატვრული სიტყვის ოსტატები, მსახიობები, მუსიკოსები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ახალგაზრდობა. მეორე წელია მწერალი ჩვენს შორის აღარ არის და ახლა მის წიგნებთან ვმეგობრობთ, მის გმირებს ვესაუბრებით და ვეთათბირებით. გორელებმა ამჯერად ზაურ წაქაძის წიგნი „შორია ორთაწმინდამდე, ოთარ“ განიხილეს. ამ წიგნში გამოქვეყნებულია მოგონებები ოთარ ჩხეიძეზე. მისი წარდგინება 6 მაისს, გორის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართა.

მწერლის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ და წიგნის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პოეტი ჯემალ ინჯია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: შოთა ქურდაძე, მარინე გიგაშვილი, ნიკო ოთინაშვილი, მწერალი მაკა ჯოხაძე, მწერალი ოლია ბრეგვაძე, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტი თეონა ქურთაული და სხვები.

წიგნზე თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა მკითხველს მწერლის შვილმა, ცნობილმა მწერალმა და კრიტიკოსმა, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ.

სამუსიკო სასწავლებლისა და სკოლების მოსწავლეთა შესრულებით კონცერტი გაიმართა.

**გურამ ვაშაკიძე**

9 მაისის ექო

# ფილმი — ცის ლაჟვარდების მპყრობელი...

**გამარჯვების დღეს, 9 მაისს, თბილისის 24-ე საჯარო სკოლის ეზოში თავი მოიყარეს ამ სასწავლებლის შენობაში 1940-1955 წლებში არსებული საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის სამხედრო საჰაერო ძალთა სპეცსაშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა.** ისინი იქ შეიკრიბნენ, სახელგანთქმული ავიაგამანადგურებელი მფრინავის ცხოვრებაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმის პრეზენტაციაზე. ფილმი მომზადდა საქართველოს ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ომის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის დაკვეთით შარშან, გმირის ნეშტის უკრაინიდან თბილისში გადმოსვენებასთან დაკავშირებით. იგი მოამზადა შემოქმედებითმა გაერთიანებამ „გუთანმა“.

პრეზენტაციის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ეს ფილმი ყველა საჯარო სკოლაში უჩვენონ. ვეტერანი მფრინავების გულითადი სურვილია თბილისის 24-ე საჯარო სკოლას კვლავ ეწოდოს ჭ. ბენდელიანის სახელი, ხოლო გაისად, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 64 წლისთავისთვის, გამოიცეს წიგნი იმ შრომასა და წვლილზე, რაც ბენდელიანის სკოლელებმა შეიტანეს სამამულო ავიაციის განვითარებაში.

შეკრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირის ჭ. ბენდელიანის ქალიშვილს ჯულიეტა ბენდელიანს, რომელმაც მადლობა გამოუცხადა ყველას მამის ხსოვნის და დაფასებისთვის.

**ხვთისავარ არჩემაშვილი.**
**ჩვ. კორ.**

სს „თბილისის ქაღალდის ფაბრიკის“ ხელმძღვანელობა გაცნობებთ, რომ ა. წ. 28 მაისს 12 საათზე ჩაიარდება აქციონერთა კრება ქ. თბილისში ბ. ხმელნიცკის ქ. №44-ში.

დღის წესრიგი:

1. გასული წლის შედეგების განხილვა;
2. მომავლის გეგმების განხილვა;
3. სხვა საკითხები.

სს „თბილისის ქაღალდის ფ-კის“ გენ. დირექტორი
თ. მენთეშაშვილი

SIC!

# პრეზიდენტო, ჩვენც გვატყუებენ, თქვენც გატყუებენ!

**იმედია, ამ მცირე წერილს პრეზიდენტი წაიკითხავს, ან ვინმე ხმას მიაწვდის!**

**მიმდინარე წლის მაისიდან პრეზიდენტი სააკაშვილი დუშელებს წყლის პრობლემის გადაწყვეტას შეგვპირდა. გვინდა, გაიგოს, რომ ეს შეპირება ტყუილი გამოდგა (წყალი არ წამოსულა).**

**დასკვნები თვითონ გააკეთოს, ვინ და რატომ ატყუებს მას, და გულს უცრუებს მოსახლეობას, რადგანაც თანხები იხარჯება მხოლოდ იმისთვის, რომ ადგილობრივმა წურბელებმა ამ თანხებით საკუთარი კეთილდღეობა მოიწყონ.**

**როდემდე გაგრძელდება ასე?**

**ვასო ბრაჭული,**
**ნონა შამანაური,**
**გივი ბექაური,**
**დუშელები (სულ 35 ხელმოწერა).**

სულიერება

# თამარობას გილოცავთ!



**14 მაისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს კეთილმორწმუნე ქართველთა მეფეს, ბაგრატიონთა შორის გამორჩეულ გვირგვინოსანს „მზეთა მზედ და დედოფალთა დედოფლად, შარავანდედთა უმეტესად ალმობრწყინებულად“ წოდებულ თამარს.**

ამას წინათ, მენელსაცხებლე დედა კვირიაკეს, თამარ მეფის ცხოვრებაც აღვწერეთ, როგორც მენელსაცხებლე დედისა...

ახლა, ცოტა რამ, – თამარ მეფის, როგორც დიდი აღმშენებელი მეფის, როგორც ქართველთა მხედრობის დამლოცველისა და ბრძენი, გონიერი დედოფლის შესახებ;

...საქართველოს გაძლიერებამ შიშის ზარი დასცა მტრებს. საქრისტიანოზე გამოლაშქრებულმა თურქობამ დიდი წინააღმდეგობა იგრძნო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე შეკრებილი საქართველოს მოსახლეობის მხრიდან... ბასიანთან ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი.

სამეფო ბრწყინვალებით მოსილი მეფე ქარგავდა, ქსოვდა და თავის ნამუშევრებს გლახაკებს უნაწილებდა.

ისტორიამ შემოგვინახა ერთი ამაღელვებელი ამბავი წმიდა მეფის ცხოვრებიდან. ერთხელ თურმე თამარ მეფე სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას და ლალებს ამაგრებდა სამეფო შემოსაკრავზე, ამ დროს უთხრეს, მონასტრის კარებთან მათხოვარი ითხოვს წყალობასო. მეფემ ბრძანა, დაეცადა მას. როცა პალატიდან გავიდა და წყალობის გაცემა ინება, მათხოვარი ვეღარ იპოვეს. შეცბუნებული მეფე საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბი დედაკაცის სახით უარი უთხრა თვით უფალ იესოს, მოიხსნა ის ლალებიანი სამეფო შემოსაკრავი, რამაც დააბრკოლა და ღვთისმშობლის ხატს შესწირა.

თამარობასთან დაკავშირებით მრავალი ღონისძიება ჩატარდება. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II თავის ქადაგებაში ჩვენს ერს უსურვა „გული გონიერი“ როგორც თამარ მეფეს ჰქონდა.

**გიული ლიპარტია**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

დაიჯესტი

## ასტროეგზოტიკა

**დაბადების თარიღით შეგიძლიათ გაიგოთ, თუ პირამიდების ქვეყნის რომელი ღმერთის ზეგავლენით ჩამოყალიბდა თქვენი ხასიათი.**



**ამონ-რა**

მას მზის ღმერთსა და ღმერთების ხელმწიფეს უწოდებდნენ. ბრძენი და ყოვლის შემძლე ამონ-რა ფარაონთა მფარველია და ადამიანთა დამცველი.

**დაბადების პერიოდები:** 8 - 21 იანვარი; 1-11 თებერვალი.

**ხასიათი:** ოპტიმისტური ხასიათის მქონენი, ამონ-რა გავლენის ქვეშ მყოფნი მიზანსწრაფული, ქარიზმატული პიროვნებები არიან. ისინი ბავშვობიდანვე დიდებისკენ, პოპულარობისკენ ისწრაფიან. ამონ-რას „ქვეშევრდომნი“ – ლიდერები და კარგი ორატორები არიან. თუმცა, თავისი პოპულარობის გამო ისინი ოჯახს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, თანაც ამ ადამიანებს ერთობ უჭირთ სასიყვარულო ურთიერთობებში, ვინაიდან ეჭვიანობის გამო პარტნიორს გულს იშვიათად უხსნიან.



## ალი აუზში

**ნამდვილ სირინოზად გადაიქცა ახალი ზელანდიის მცხოვრები, 50 წლის ნადია ვესი.** ჯერ კიდევ ბავშვობისას მან ორივე ფეხი დაკარგა, ახლა კი, სპეცეფექტების კომპანიამ მისთვის კუდიანი საცურაო კოსტიუმი დაამზადა.

## „სიურრეალისტთა სავანის“ „უპატრონო“ სიბერე

**ცნობილი პოეტის ედვარდ ჯეიმსის საქვეყნოდ ცნობილი პორტრეტი, ასევე სახელოვანმა ბელგიელმა მხატვარმა რენე მაგრიტმა 1937 წელს შექმნა. ნახატზე მხატვარი ზურგიდან, სარკის წინ მდგარია დახატული, თუმცა მისი ანარეკლიც ასევე ზურგიდან ჩანს.** რეალისტური მხოლოდ კიდევ ერთი დიდი ხელოვნის ედგარ ალან პოს სარკის წინ დადებული წიგნია. კრიტიკოსები თავის დროზე ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მხატვარმა დიდი დამაჯერებლობით შექლო ედვარდ ჯეიმსის იდუმალი და უცნაური, „უკანასკნელი ექსცენტრიკოსის“ ბუნების ასახვა.



თავად ედვარდ ჯეიმსი (1907-1984 წ.წ.) ირწმუნებოდა, რომ სიურრეალისტად დაიბადა. მის მშფოთვარე, ცვლილებებით აღსავსე ცხოვრებაში უცვლელი მხოლოდ პოეზიით აღსავსე შემოქმედება იყო. ცხოვრებისა და, შესაბამისად, დროის უმეტეს ნაწილს ედვარდ ჯეიმსი უძღვნიდა მაშინ ჯერ კიდევ უცნობ, ნიჭიერ და უფულო მხატვრებს – რენე მაგრიტს, სალვადორ დალის, მრავალ სხვას, მათი პროექტებით და მათთან ერთად ინგლისის ქალაქ მონკტონში მან „სიურრეალისტების სავანე“ დააფუძნა. ნაგებობის კედლები იისფერ-ლურჯად იყო შეღებილი, სადარბაზო შესასვლელი – ღია ვარდისფრად. ასევე ერთობ უცნაური იყო სავანეს დგამი: აქ იყო ნაპოლეონის კატაფალკის ფორმის საწოლი, ერთ-ერთი ამერიკელი კინოვარსკვლავის ტუჩების ფორმის ტახტი, ხოლო ყვითელ-ცისფრად შეღებილ კაბინეტში მაგიდაზე კიბორჩხალის ფორმის ტელეფონი იდგა, რომელიც სალვადორ დალიმ მოიგონა.

ამჟამად „სიურეალისტთა სავანეში“ იმ ძველი დროიდან ცოტა რამ თუ შემორჩა, ახლა იგი უფრო ბავშვის მიგდებულ მობეზრებულ სათამაშოს უფრო ჰგავს.



## იცხოვრე „ელვებში“!

**დიზაინერმა სებასტიან ერაზურიზამ ქალის კაბის ახალი მოდელი შექმნა, რომელსაც... 120 ელვა-შესაკრავი აქვს.** საკმარისია ხელის ერთი მოძრაობა და კაბა უმალვე ქვედა ბოლოდ, ანდა, სულაც, ქამრად გადაიქცევა.

## მეტეოთხა

**ამერიკის ქალაქ ბერლინგტონში, როგორც ჩანს, მსოფლიოში ამინდის ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულ „წინასწარმეტყველი“ ცხოვრობს.** როგორც კი თხა ლულუ წვიმის ან თოვის დაწყებას იგრძნობს, იგი თავისით ფარეხში მიდის. საგულისხმო კი ის არის, რომ ადგილობრივი მეტეობიუროს თანამშრომლები მუდმივად ეკითხებიან ლულუს პატრონს მისი ადგილსამყოფელის შესახებ – თუ თხა გარეთ ლაღობს, მაშასადამე აუცილებლად დარი იქნება.



**უცხოური პრესის მიხედვით**

ანეკდოტები

სხედან მიხო და მარო კონცერტზე. მარო ჰაერს ყნოსავს და მიხოს ეკითხება:

– მიხო, წამოსვლის წინ წინდები გამოიცვალე?

– გამოვიცვალე.

ცოტა ხნის შემდეგ მარო ისევ კითხულობს.

– მიხო, სიმართლე მითხარი, მართლა გამოიცვალე?

– გამოვიცვალე-მეთქი, ქალო!

აბა, რად მატყუებ?! მე ხომ ვიცი ეს სუნი! მართლა მითხარი, გამოიცვალე თუ არა?

–გამოვიცვალე, მართლა გამოვიცვალე, – აყვირდა მიხო და პიჯაკის გულის ჯიბიდან წინდები დააძრო, – და რახან ვიცოდი, რომ არ დამიჯერებდი, თან წამოვიღე საჩვენებლად.

* * *



– თქვენს სოფელში უცხოური მანქანების სათადარიგო ნაწილების შოვნა შეიძლება?

– რამდენიც და რანაირიც გინდათ!

– მაინც სად!

– აი, იმ მკვეთრ მოსახვევთან რომ ხრამია, იქ.

* * *

იულიუს კეისარი, რომელსაც სამი საქმის ერთდროულად კეთება შეეძლო, ჩვენი „მარშრუტკების“ მძღოლებთან შედარებით არარაობაა.

* * *

ბიჭს უნდა, რომ როგორმე სექსზე დაიყოლიოს გოგო.

– ქორწილამდე არ შეიძლება, – უარობს ტურფა.

– ქორწილამდე შეგიხორცდება.

* * *

ქალთა საერთო საცხოვრებელი... ერთი გოგო პაემანზე წასასვლელად ემზადება. ორი დაქალი ჩაცმაში ეხმარება...

– იქნებ 50 გრამი დაგელია გამბედაობისთვის? – ეუბნება ერთი.

– იქნებ 100 გრამი სჯობდეს თავდავიწყებისთვის?

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.